ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

„მე დავბრუნდები“ — ზურაბიშვილის საიტზე სააკაშვილის ფოტო რუსეთის გრუ-ს ჰაკერებმა განათავსეს

გვ.5

18 თებერვლიდან

მიხეილ კვესელავა

**ნიურნბერგის პროცესი**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

პარასკევი, 21 თებერვალი, 2020 №43 (8307) ფასი: 60 თეთრი

# „ვანო მერაბიშვილი ციხიდან სერიოზული ავტორიტეტით გამოვიდა“

გვ.3

## მამუკა გამყრელიძე: „მას დიდი მხარდაჭერა ექნება“

გვ.2 **ვანო მერაბიშვილი: „6 წელი და 9 თვე სამარტოო კამერაში ვიჯექი და კომპრომისზე არ წავსულვარ“**

„ეს ხელისუფლება 1 წელიწადში დასრულდება“

გვ.3

## ბექა ნაცვლიშვილი: „მერაბიშვილის მობრუნება გამორიცხულია!“

„ერთი კვირის შემდეგ ის აღარავის დაინტერესებს“

## „მერაბიშვილს შემრიგებლური როლი ექნება“

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილმა თქვა, მერაბიშვილს პოლიტიკაში ვერ ვხედავო, მან კი მიშას რჩევა დააიგნორა“

გვ.2

## პეტრე მამრაძე: „ლავროვის შემოშვება საქართველოში არ შეიძლება“

გვ.4

გვ.4

## ასლან ბჟანიას საარჩევნო შტაბს ალექსანდრე ანქვაბი ხელმძღვანელობს

გვ.2

## გიორგი კვირიკაშვილი: „აქტიურ პოლიტიკაში ჩართვას არ ვაპირებ“

## გომელაური მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

გვ.2

ISSN 1987-9385

5 „მერაბ კობიაშვილი თავს იცავდა“ ადვოკატი ბრალის გადაკვალიფიცირებას ითხოვს

2 გიორგი გახარიას გრიგოლ ლილუაშვილი შეცვლის?

5 „ნიკოლოზ ხადურმა ტაქსისტი დავით შამათავა ნაჯახითა და დანით მოკლა“

6 აშშ-ში რუსეთის ჯაშუში დაიჭირეს

# სოსო ცინცაძე: „მერაბიშვილს შემრიგებლური როლი ექნება“

## „სააკაშვილმა თქვა, მერაბიშვილს პოლიტიკაში ვერ ვხედავო, მან კი მიშას რჩევა დააიგნორა“

იაგო ნაცვლიშვილი

ყოფილმა პრემიერმა და შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ ციხე დატოვა. მერაბიშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკაში ერთვება, თუმცა მას არ უთქვამს, „ევროპულ საქართველოში“ მიდის თუ ნაციონალურ მოძრაობაში, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1 წელიწადში ივანიშვილის რეჟიმს დაასრულებს.

რომელ პარტიაში უფრო რეალურია მერაბიშვილის ნახვა, რა როლი ექნება მას და რამდენად მომგებიანი იქნება მისი მისვლა იმ პარტიისთვის, სადაც ის მივა? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე.**

***– როგორ ფიქრობთ, ვანო მერაბიშვილი ნაციონალური მოძრაობისკენ გადაიხრება თუ „ევროპული საქართველოსკენ„ და იმ პარტიისთვის ეს იქნება შენაძენი თუ არასასიამოვნო სვლა ელექტორალური თვალსაზრისით?***

– დილიდან ვისმენ მმართველი პარტიის კომენტარებს და წარმოუდგენელ დილეტანტიზმსა და უვიცობას ავლენენ. როგორც ჩანს, ამ ხალხს პოლიტოლოგიაზე ერთი წიგნიც არ აქვს წაკითხული. ელემენტარულად და მარტივად არის ყველაფერი. მსოფლიოში არაერთი პრეცედენტი ყოფილა ასეთი, როცა ადამიანი გამოდის ციხიდან და ისევ პოლიტიკაში ერთვება. ანალიტიკოსებად რომ მოაქვთ თავი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება შეუძლიათ.

საქმე ის არის, რომ ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგეებისათვის მერაბიშვილის გამოსვლა არც სასიხარულო ამბავია და არც პირიქით. მათთვის ნაციონალური მოძრაობა მიუღებელია, მაგრამ ნაცმოძრაობის მომხრეებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ფანატიზმამდე მისულ მომხრეებს ეძახიან, რასაკვირველია, ეს არის ძლიერი მორალური ფაქტორი.

ვინც მერაბიშვილის მინისტრობისას ციხეში იჯდა, ვინც ქონებას კარგავდა და ნებისმიერი ფორმით დაზარალდა, მათთვის მერაბიშვილი, რა თქმა უნდა, მიუღებელია. მათ განწყობილებას ვერაფერი შეცვლის. მათთვის, მერაბიშვილის მსგავსად, ასეთივე მიუღებელია ნაციონალური მოძრაობა.

***– თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამაც და ევროპულმა საქართველომაც შემოგვთავაზეს რებრენდინგი. წარსულში დაშვებულ შეცდომებს აღიარებენ.***

– კი, მაგრამ ეს არ მოქმედებს ისეთ საზოგადოებაში, როგორიც დღეს ქართულია. ალბათ საფლავში გადატრიალდება კოჰაბიტაციის ავტორი დესმონ ტუტუ, სამხრეთაფრიკელი შავკანიანი მოძღვარი, ნობელის პრემიის ლაურეატი. დღეს ამბობდნენ, კოჰაბიტაციის ბრალიაო, მაგრამ კოჰაბიტაცია საქართველოში საერთოდ არ ყოფილა. კოჰაბიტაცია არის მონანიება და პატიება, რაც წამოვიდა სამხრეთ აფრიკიდან. მაგრამ მონანიების გარეშე პატიება არ არსებობს. ჩვენთან არავინ არაფერს ინანიებს.

ის, რასაც თქვენ ამბობთ, რებრენდინგი და რომ ჩვენ ისეთები აღარ ვართ, როგორებიც ვიყავით და ა.შ. ამისათვის საჭიროა საზოგადოების მაღალი პოლიტიკური კულტურა. ენა არ მიბრუნდება და როგორ ვთქვა, რომ 60-70-იანი წლების სამხრეთ აფრიკაში პოლიტიკური კულტურის უფრო მაღალი საზოგადოება იყო, ვიდრე დღეს საქართველოშია, მაგრამ პრაქტიკულად ასეა. ოხანაშვილს ვუსმენდი და ვნახეთ, რომ თეა წულუკიანი შეეცადა, მეცნიერულად აეხსნა, რას წარმოადგენს მერაბიშვილი. დანაშაული დაუმტკიცდა, ვადა დაუმთავრდა და გამოვიდა ციხიდან, მაგრამ როგორია რეაგირება? ანუ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთან რებრენდინგი და ყველაფრის ახლიდან დაწყება არ ჭრის.

***– ჩემს პირველ კითხვაზე თქვენი პასუხი ასე უნდა გავიგო, რომ მერაბიშვილის ერთ ან მეორე პარტიაში მისვლა არც შენაძენი იქნება და არც დანაკარგი?***

– ნაციონალური მოძრაობის მომხრეებისათვის ეს იქნება კიდევ ერთი მორალური ფაქტორი.

***– თუ „ევროპულ საქართველოში“ წავა?***

– არა მგონია, ეს მოხდეს. საერთოდ არ არის გამორიცხული, რომ შემრიგებლური როლი შეითავსოს და ერთთანაც იყოს და მეორესთანაც და თქვას, ჩვენი მიზანი ამ ხელისუფლების დამარცხებაა, ვიწროპარტიულ ინტერესებს ვემიჯნები და ორივე პარტიაში ჩემი მეგობრები არიანო.

***– ანუ დიდი გაერთიანების საწინდარი გახდეს?***

– არა, დიდი გაერთიანება გამორიცხულია, მაგრამ შემრიგებლური შუამავლის როლი დღეს უფრო მოერგებოდა მერაბიშვილს.

***– გამიჩნდა განცდა, რომ განცხადებებით სააკაშვილის რიტორიკა გაიმეორა. თავისი განცხადებებით რომელ მხარეს უფრო დაინახეთ?***

– სააკაშვილთან როგორი იქნება მაგის ურთიერთობა, არ ვიცი, მაგრამ იგივე მერაბიშვილი და იგივე სააკაშვილი, სხვებისგან განსხვავებით, პოლიტიკოსები არიან. სააკაშვილს შეიძლება მერაბიშვილისადმი სულ სხვა განწყობილება ჰქონდეს, მით უმეტეს, ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოაშორა მერაბიშვილი და, ფაქტობრივად, საპატიო პენსიაზე გაუშვა. იქიდან გამომდინარე, რომ შს მინისტრობიდან მოხსნა და მაშინ პრემიერ-მინისტრი პრაქტიკულად არაფერს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ მერაბიშვილი სააკაშვილს არ ეთანხმება თავისი მომავლის განსაზღვრაში. სააკაშვილმა თქვა, ვანოს ადგილზე წავიდოდი, დავისვენებდი, ოჯახს მივხედავდიო და ამ პერიოდში არჩევნებიც ჩაივლიდა. მაგრამ მერაბიშვილი გამოვიდა და თავის მომავალ გეგმებზე ისაუბრა. ალბათ იქ იქნებიან ორივე ფრთის წარმომადგენლები, ვისთანაც ის საუბრობს და ის ტაიმაუტსაც კი არ იღებს. როგორც ჩანს, უკვე დღეიდან დიდ პოლიტიკაში იქნება. ეს უკვე სააკაშვილის რჩევის იგნორირებაა. სააკაშვილმა ეს შემთხვევით ხომ არ თქვა? ფაქტობრივად, მან თქვა, ვანოს ადგილს პოლიტიკაში ვერ ვხედავო. მერაბიშვილს თავისი გზა აქვს. მერაბიშვილი გარეგნუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიორგი გახარიას გრიგოლ ლილუაშვილი შეცვლის?

მარტის დასაწყისში „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი ხელისუფლების ამინდი მკვეთრად გაუარესდება. პოლიტიკური სინოპტიკოსების ცნობით, მიუხედავად გაჭიანურებული პროცესისა, პრემიერი გიორგი გახარია სავარძელს სწორედ მარტის დასაწყისში დატოვებს. შესაბამისად, მორიგი სამთავრობო კარუსელი ადრეულ გაზაფხულზე დატრიალდება.

2020 ნიუსის ექსკლუზიური ინფორმაციით, გიორგი გახარიას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი შეცვლის.

სააგენტოს ინფორმატორის ცნობით, სუსის მოქმედი ხელმძღვანელი ქვეყნის არაფორმალური მმართველის ბიძინა ივანიშვილის მაღალი ნდობით სარგებლობს და ეს საკადრო გადაწყვეტილებაც სრულიად ლოგიკურია.

„ბიძინა ივანიშვილის ნდობის რეიტინგში გრიგოლ ლილუაშვილი დაწინაურდა. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს გადაწყვეტილება მიღებული აქვს და მარტის დასაწყისში გახარიას სწორედ ლილუაშვილით ჩაანაცვლებს. შესაბამისად, მოხდება ახალი მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებაც.

დიდი ალბათობით, ცვლილება არ შეეხება ძალოვან ბლოკს, ერთი გამონაკლისის გარდა – იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია და „ოცნების“ ყველაზე სტაჟიანმა მინისტრმა ეს ძალიან კარგად იცის. ადგილზე რჩება ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი მაია ცქიტიშვილიც. სხვა მინისტრების ბედი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის“, – უთხრა 2020 ნიუსს ინფორმირებულმა წყარომ.

სააგენტოსთვის უცნობია, ასეთი საკადრო ცვლილებების შემთხვევაში, ვის ჩაბარებს ივანიშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. მას სუსში ლილუაშვილზე არანაკლებ სანდო კადრი სჭირდება.

მოკლედ, დასავლეთმა თავისი გაიტანა და ივანიშვილს გახარიას შეცვლა მოუწევს. ამ ჩანაცვლებით საქართველოში ახალი პრეცედენტიც იქმნება: ქვეყნის ისტორიაში პირველად სუსი ხელისუფლებას იპყრობს – უშიშროების მინისტრი პრემიერ-მინისტრი ხდება.

შინაგან საქმეთა გაპრემიერებული მინისტრი ბევრი (ივანე მერაბიშვილი, გიორგი გახარია) გვახსოვს, მაგრამ უშიშროების მინისტრს პრემიერის სავარძელში გადაენაცვლოს, ქვეყნის ისტორიაში ეს ნამდვილად პირველად ხდება.

# ვანო მერაბიშვილი: „6 წელი და 9 თვე სამართლო კამერაში ვიჯექი და კომპრომისზე არ წავსულვარ“

## „ეს ხელისუფლება 1 წელიწადში დასრულდება“

გუშინ, 20 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვანო მერაბიშვილმა ციხე დატოვა.

ციხესთან მას ათეულობით ადამიანი დახვდა, რომლებიც მერაბიშვილის გამოჩენას ტაშით შეხვდნენ,

ვანო მერაბიშვილი პენიტენციარული დაწესებულებიდან თითქმის 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.

– მე ვარ კმაყოფილი იმით, რომ არ წავედი არავითარ კომპრომისზე, – განაცხადა ციხის კიბეზე ვანო მერაბიშვილმა.

მან ახლობლებს და მეგობრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– ზუსტად 6 წელიწადი და 9 თვე ვიმყოფებოდი საპატიმროში სამართლო საკანში. მე ვარ კმაყოფილი იმით, რომ არ წავედი არავითარ კომპრომისზე, უპირველეს ყოვლისა, არ წავედი კომპრომისზე ჩემი თავის მიმართ, გაძლევთ გარანტიას, რომ ეს ხელისუფლება 1 წელიწადში დასრულდება, – განაცხადა მან.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი 2013 წლის მაისში დააკავეს. ის სასჯელს რამდენიმე საქმეზე იხდიდა, მათ შორის, 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის, სანდრო გირგვლიანის საქმეზე მტკიცებულებების დამალვის, ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების, კვარიათის აგარაკისა და ამომრჩევლის მოსყიდვის საქმეზე.

სასჯელის შთანთქმის პრინციპით, მერაბიშვილს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ამჟამად სასამართლოში მერაბიშვილის წინააღმდეგ 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და ტელეიმედში შეჭრის საქმის განხილვა მიმდინარეობს.

აღნიშნულ საქმეზე მერაბიშვილს უფლებამოსილების გადამეტებას ედავებიან.

# გიორგი კვირიკაშვილი: „აქტიურ პოლიტიკაში ჩართვას არ ვაპირებ“

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკაში ჩართვას მიესალმება, თუმცა თავად პოლიტიკურ საქმიანობაში დაბრუნებას გამორიცხავს.

კვირიკაშვილის განმარტებით, მას არ სურს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მისი მოტივაცია, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების დროს გააჩნდა.

– გიორგი მარგველაშვილის აქტიურ პოლიტიკაში ჩართვას მივესალმები. ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი თავისი ბევრი თვისებით არის აქტივი საქართველოსთვის და არა მარტო პოლიტიკისთვის. პირადად, აქტიურ პოლიტიკაში ჩართვას არ ვაპირებ. რა თქმა უნდა, მექნება ჩემი საჯარო პოზიცია ძალიან ბევრ საკითხზე, მაგრამ პოლიტიკაში მონაწილეობას არ ვაპირებ ერთი უბრალო მიზეზის გამო, რომ პრემიერ-მინისტრი ვიყავი, მიღებული მაქვს ბევრი გადაწყვეტილება.

რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების დროს ქვეყნის ინტერესებით ვხელმძღვანელობდი და დღეს პოლიტიკაში ჩართვით, არ მინდა ოდნავი კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენო ის მოტივაცია, რომელიც კონკრეტულად ძალიან ბევრი გადაწყვეტილების მიღების დროს გამაჩნდა, მათ შორის ანაკლიის პროექტის შემთხვევაში, რომელსაც მხარს ვუჭერდი და ვუჭერ, როგორც საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან, ნომერ პირველი მნიშვნელობის პროექტს მომავალი ათწლეულებისთვის, საქართველოს ეკონომიკური და სტრატეგიული პოზიციონირების კუთხით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, არ მინდა, რომ ოდნავი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ის მოტივაცია, რომელიც გამაჩნდა და რომელიც იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ინტერესების დაცვა, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

# გომელაური მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მისიის ხელმძღვანელ სანია ჩელებიჩ ლუკოვაცთან ოფიციალური შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის არსებული წარმატებული ურთიერთობა და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა საზღვრის ინტეგრირებული მართვის, არალეგალური მიგრაციის და ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერას, რასაც იგი ევროკავშირისა და აშშ-ის დაფინანსებით ახორციელებს.

მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე პროექტებზეც ისაუბრეს, რომლებიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის უშუალო ჩართულობითა და მხარდაჭერით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაურმა, ასევე, აღნიშნა დაგეგმილი პროექტების მნიშვნელობა, რომელთა ფარგლებში განხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება და დამატებით საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით კი საზღვრის ინტეგრირებული მართვის კუთხით გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

# შსს-მ დენის ჰუბერსა და კრისტიან ურსეს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძე ევროპის საბჭოს პომპიდუს ჯგუფის აღმასრულებელ მდივან დენის ჰუბერსა და ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელ კრისტიან ურსეს შეხვდა.

შეხვედრაზე ვლადიმერ ბორცვაძემ ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს ოფისს, ევროპის საბჭოს პომპიდუს ჯგუფსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობას.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ საქართველოს მიერ განხორციელებულ თანმიმდევრულ ნარკოპოლიტიკაზე, ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით უწყებაში დანერგილი სიახლეებისა და სამინისტროს მიერ 2019 წელს უკანონო ბრუნვიდან ამოღებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ ისაუბრა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის მნიშვნელობა, პომპიდუს ჯგუფში ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების მიზნით პომპიდუს ჯგუფთან სამომავლო თანამშრომლობა.

ვლადიმერ ბორცვაძემ ევროპის საბჭოს მხარეს მადლობა გადაუხადა პომპიდუს ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებსა და შეხვედრებში სამინისტროს თანამშრომელთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „ვანო მერაბიშვილი ციხიდან სერიოზული ავტორიტეტით გამოვიდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, ვანო მერაბიშვილმა დატოვა საპყრობილე და ამ ფაქტმა პოლიტიკურ სივრცეში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ოპოზიცია, მისი მეგობრები, გახარებულები არიან, ხელისუფლება კი საკმაოდ შეშფოთდა მისი განცხადებებით. დავამხობ ხელისუფლებასო, ეს ძალიან ბევრს ცუდად მოხვდა ყურში. რას იტყვით თქვენ?***

– ვანო არასდროს ყოფილა მძაფრი მოქმედებების მომხრე. მოდი 6,6 წელი ჩასხდნენ ციხეებში და მერე ჰაერზე რომ გამოვლენ, მერე ვილაპარაკოთ!

***– რის თქმა გსურთ, ცხელ გულზე ნათქვამი განცხადებაა?***

– რა თქმა უნდა, ცხელ გულზე ნათქვამი განცხადებაა. უფრო ზუსტად რომ ავხსნათ, უჰაერობიდან რომ ჰაერზე გამოხვალ, ჟანგბადმა იცის ხოლმე სხვაგვარად მოქმედება. აქ ეიფორიასაც ჰქონდა ადგილი, ამდენი ხალხი დაინახა ამ ადამიანმა, ტაშით შეეგებნენ, ამ დროს სისხლი აგიდუღდება კაცს. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ასეთ პირობებში და ასეთ ეიფორიაში გაკეთებულ განცხადებას ყურადღებას ნუ მივაქცევთ. ყურადღება მივაქციოთ სხვა რამეს.

***– რას უნდა მივაქციოთ?***

– აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლა უნდა შევაფასოთ ობიექტურად და ვთქვათ, რომ მან მოიხადა სრულად ის დრო, რაც მას შეუფარდეს და შემდეგ დაუმატეს, ამიტომ მისი ხელახლა ციხეში ჩასმა, ისე, როგორც გიგისი, შეუძლებელია.

ციხეში ჯდომის პერიოდში მას არ ჰქონია არანაირი გარიგება არავისთან და ამას ვერავინ დააბრალებს. ყველამ ვიცით, რომ მასზე იყო ზეწოლა და არასამართლებრივი ქმედებები ჩატარებული, რაც დაფიქსირდა კიდეც საერთაშორისო სასამართლოში და ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებში.

***– ეს ყველაფერი რას ამბობს მასზე?***

– სწორედ ეს ყველაფერი მისგან ქმნის პოლიტპატიმარს. ისეთი დასკვნა გამოიტანა საერთაშორისო სასამართლომ, რომ ასეთი დასკვნის შემდეგ, მთელ მსოფლიოში ათავისუფლებენ ხოლმე პატიმრებს. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ამაზე არ წავიდა. მას არა მარტო საქართველოში აქვს პოლიტპატიმრის სახელი, არამედ საერთაშორისო მასშტაბით, რაც მას კიდევ უფრო დიდ ძალას მატებს.

მეორეც, ის არსად წასულა, არ გაქცეულა, არ დაუტოვებია საქართველო, შესაბამისად, ის საქართველოში დარჩა და ახლა თავისუფლად შეუძლია მოძრაობა ქვეყნის ფარგლებში. ეს მას ძალიან დიდ თავისუფლებას აძლევს მოქმედების არეალის, რაც კიდევ უფრო საშიშია ხელისუფლებისთვის, იმიტომ, რომ მას შეუძლია, ნებისმიერ ადამიანთან მივიდეს, ელაპარაკოს და თავისი ხედვები გააცნოს.

***– ამბობთ, რომ საშიშია ხელისუფლებისთვის. რატომ არის საშიში, რა ძალა აქვს მერაბიშვილს?***

– მას აქვს უზარმაზარი მხარდაჭერა! არც ის არის საიდუმლო, რომ ხალხს ის ძალიან უყვარს. მისი მუშაობის პერიოდში ხალხის დამოკიდებულება მის მიმართ იყო ძალიან თბილი, იმიტომ, რომ თვითონაც ძალიან თბილი ადამიანია. პიროვნულად უნდა იცნობდეთ მას. ასევე ძალიან ყურადღებიანი ადამიანია ყველას მიმართ. შესაბამისად, ეს მას უბრუნდება.

## „მას დიდი მხარდაჭერა ექნება“

როდესაც ასეთი ადამიანი მიდის ოპოზიციაში, ის აუცილებლად იქნება საფრთხე ხელისუფლებისათვის. ამიტომ ქალბატონი წულუკიანი ძალიან აღელვებული იყო ამის გამო.

***– შეატყვეთ მას აღელვება?***

– დიახ. სამწუხარო იყო, როდესაც მას კითხვა დაუსვეს, გამოიძიეთ თუ არა ის სიტუაცია, როდესაც ვანო ძალით გაიყვანეს კამერიდან და შემდეგ ჩანაწერები გააქრესო, ამაზე წულუკიანმა პასუხი გასცა, ტყუილია, რომ ვანო პოლიტიკური პატიმარიაო. დაახლოებით, იცით, როგორი პასუხი გასცა? რომ გკითხონ, დღეს როგორი ამინდიაო და რომ უპასუხოთ, პარასკევიაო.

ასეთ აცდენაზე რომ მიდის მინისტრი, ეს ნიშნავს იმას, რომ სრულიად გამარჯვებულად გამოდის მერაბიშვილი, რომელსაც ახლა აბსოლუტურად ყველაფერი ჩამორეცხილი აქვს, მათ შორის კანონმდებლობით. თუ რამე აქვს დაშავებული, მან უკვე მოიხადა ეს სასჯელი და დღეს ის არის სრულიად უდანაშაულო!

***– ბატონო მამუკა, რას ფიქრობთ, სად წავა ვანო?***

– ნამდვილად არ ვიცი. ამ შემთხვევაში პროგნოზს მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა არ აქვს, ვის მხარეს გადაიხრება, საკაკაშვილის მხარეს იქნება, ბოკერია-უგულავას თუ, სიტყვაზე, გირჩში წავა. ის ოპოზიციაშია.

მამუკა ხაზარაძის ნათქვამი ძალიან გულზე მომხვდა. ზუსტად იმ რიტორიკით ისაუბრა, რითაც ხელისუფლება საუბრობს! კაცი პოლიტიკაში ხარ, ამბობ, ოპოზიციაში ვარო და იმავე რიტორიკით საუბრობ, რითაც საუბრობს ხელისუფლება. ხომ არსებობს რაღაცა ადამიანობა! აცადე ამ ადამიანს გამოსვლა და ერთი დღე იქნებ მიულოცო, რომ ციხიდან გამოვიდა და მერე ვილაპარაკოთ იმაზე, თუ სად არის, როგორ არის და ვისთან იქნება! მე ასე ვიტყოდი თქვენს შეკითხვაზე: დიდ იმედს ვიტოვებ, რომ ვანო მერაბიშვილი არ წავა სამოგზაუროდ!

***– პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით? თუნდაც იმ ფონზე, როდესაც გაერთიანებულ ოპოზიციაში საკმაოდ დაძაბულია სიტუაცია. გასულ კვირას თქვენც გარკვეული უთანხმოებები გქონდათ გუნდში. რამდენად შეძლებს მერაბიშვილი სიტუაციის დალაგებას?***

– თქვენ სწორად ბრძანეთ, მერაბიშვილმა ერთგვარი ხიდის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს, იმიტომ, რომ რაც არ უნდა იყოს, ვანო, ძალიან სერიოზული ავტორიტეტით გამოვიდა ციხიდან, როგორც შეუდრეკელი, გაუტეხავი ადამიანი, რომელიც არ წავიდა გარიგებაზე და კაცურად დადგა. ეს კი ფასდება საქართველოში!

ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, პატიმრობაში ყოფნა და იქ გაუტეხელობა ძალიან ფასდება. დანარჩენი პოლიტპატიმრები, ვინც არ გატყდა და ვინც გამოვა ვანოს მერე, ისინიც ასეთივე ავტორიტეტით ისარგებლებენ. წინასაარჩევნოდ ის სხვები არ ვიცი, შეძლებენ თუ არა გამოსვლას, რადგან ყველანაირად შეეცდება ხელისუფლება, ეს ხალხი, ვისაც ასეთი ავტორიტეტი ექნება მოსახლეობაში, არ გამოუშვას არჩევნებამდე.

***– ვანო რომ გამოუშვეს?***

– ვანოზე მოუწიათ უბრალოდ, ვეღარაფერი დაუმატეს. ვეღარ მოიფიქრეს ვერაფერი. გიგი, ხომ ვნახეთ, მეორედ შეაგდეს იმავე დანაშაულზე. ეს კაცი რომ გამოდის ახლა, წარმოიდგინეთ, როგორი ფაქტორია, შემკვრელი ფაქტორია ოპოზიციისათვის.

***– ისევ რომ შეაბრუნონ?***

***– ნაყინის მოპარვას თუ დააბრალებენ, არ ვიცი და ისე რანაირად უნდა შეაბრუნონ?!***

– ოპოზიციის ერთმა ნაწილმა ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა, ნაწილმა გააკრიტიკა კიდეც ვანო მერაბიშვილი მის განცხადებების გამო. ჩვენთვის დამხობა ცუდ რაღაცებთან ასოცირდებაო.

***– მე პირდაპირ ვამბობ, ლელომ გააკრიტიკა...***

– ლელო არის ოპოზიცია?

***– ჩემთვის გაუგებარია, რა პოზიცია უჭირავთ. გარდა იმისა, რომ ეს განცხადებები მოვისმინე, რაღაც სიმპათიის გრძნობა ხომ უნდა გქონდეს კაცის მიმართ, რომელიც ექვსწელიწად-ნახევარი ციხეში იჯდა, სამარტოო საკანში, მარტო, უჰაეროდ, კაცს რუხი ფერი ადევს სახეზე. ჯერ ერთი, ჟანგბადი მოქმედებს ადამიანზე, ეს ყველამ იცის. შემდეგ ამდენი ხალხი დაინახა, ამხელა სიყვარული დაინახა, ცხადია, მას რაღაც ეიფორია ექნებოდა.***

არავის ვუსურვებ, მაგრამ ერთი შევიდნენ ზოგიერთები, ერთი თვე დასხდნენ უჰაეროდ და მერე ვნახოთ, ექნებათ თუ არა ჰაერზე ეიფორია. პირადად მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ რევოლუციური სცენარებისა, გინდ მერაბიშვილი იყოს და გინდ კარლ მარქსი, ვინც აქ რევოლუციას მომინდომებს, მე ვიქნები ამის პირველი წინააღმდეგი!

***– თქვენ ბრძანეთ, ვანოს ნაცრისფერი ფერი ადევსო. თუმცა ჩვენ სულ სხვაგვარი შედარებებიც ვნახეთ სოციალურ ქსელში. ვანო მერაბიშვილი და სულხან მოლაშვილი – ყველამ ნახა, ვინ როგორი გამოვიდა ციხიდანო. თქვენ ვერ დაინახეთ ეს განსხვავება?***

– მოდით, ასე ვთქვათ, ასეთი შედარებები აბსოლუტურად უადგილოა.

***– რატომაა უადგილო?***

– უადგილოა და იმიტომ. არ განვავრცობ ამ თემას. სულხან მოლაშვილის ოჯახი ჩემი ახლობელი ოჯახია, მას უდიდეს პატივს ვცემ, ძალიან მიყვარს მისი ოჯახი, მაგრამ ასეთი პარალელები უადგილოა. არ შეიძლება ასე. ესეც დავაყვედროთ ადამიანს?! ზოგი ისე უძლებს ციხეს, ზოგი ასე უძლებს.

***– მხოლოდ გაძლებაზეა?***

– არ შეიძლება ასე ლაპარაკი. თუ სულხან მოლაშვილთან რაღაც პრობლემები იყო, ამ ხელისუფლებას უნდა გამოეძიებინა და ყველა დაესაჯა იმისთვის, რაც დამართეს სულხან მოლაშვილს თუ უამრავ ადამიანს, რომლებიც უჩიოდნენ წინა ხელისუფლებას.

თუ შენ ამას მხოლოდ პოლიტიკურად იყენებ და ამაზე უბრალოდ ლაპარაკობ, მაგრამ არ იძიებ, არ ცდილობ, სიმართლე დაადგინო, ე.ი. შენც იგივე ადამიანი ხარ!

მე ძალიან მიყვარს ვანო პიროვნულად, ძალიან ვაფასებ და კარგის მოლოდინის იმედით ვარ. შევარგოთ ამ ადამიანს ეს ერთი დღე და მერე დაესხან თავს, სვავებივით რომ დაესივნენ, ეს რატომ თქვი და ის რატომ თქვიო.

აცადონ, რა!



## 40 წელი სახანძრო-სამაშველო სამსახურში

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ჰუსეინ სირაბიძეს 60 წელი შეუსრულდა.

ჰუსეინი თითქმის 40 წელია, სახანძრო-სამაშველო სამსახურში მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში დაგროვილ დიდ გამოცდილებას ახალგაზრდა კოლეგებს უზიარებს. შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, მას ხელშეკრულება კიდევ 5 წლით გაუგრძელდა.

ჰუსეინ სირაბიძეს, წლების განმავლობაში გაწეული ერთგული სამსახურისთვის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურისა და სამსახურის სახელით, საჩუქრად პისტოლეტი და სპეციალური მედალიონი გადაეცა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ ჰუსეინ სირაბიძეს დაბადების დღე ?მიულოცა და მას სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ბათუმში გამართულ საიუბილეო ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი, მისი პირველი მოადგილე ლევან ღირსიაშვილი და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსი დავით სუხიშვილი დაესწრნენ.

# ბექა ნაცვლიშვილი: „მერაბიშვილის მობრუნება გამორიცხულია!“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ბექა ნაცვლიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ბექა, ციხიდან გამოსულმა ვანო მერაბიშვილმა ხელისუფლების დამხობასა და მატროსოვის ციხის კარის ფართოდ გაღებაზე ისაუბრა. როგორ ფიქრობთ, მერაბიშვილის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება ქვეყანაში პროცესებს შეცვლის?***

– ვერ შეცვლის! ვერაფერს ვერ შეცვლის. თუ ისეთი მოკლე მახსოვრობა გვაქვს, რომ ასეთი ჯალათების განცხადებას ვინმე პოზიტიურად გამოეხმაურება, მაშინ ღირსიც ვყოფილვართ. თუ ვინმეს ოდნავ მაინც აუჩუყებს ეს განცხადება გულს, მაშინ არც წარსულის გააზრებისა და არც მომავლის განსაზღვრის უნარი არ გვქონია. მე კი სრულიად საწინააღმდეგოს ვფიქრობ ქართველ ხალხზე.

ეს უფრო საკუთარი მხარდამჭერების მამობილიზებელი განცხადება იყო, ვიდრე რამის შეცვლაზე ორიენტირებული. დამერწმუნეთ, მერაბიშვილი ვერაფერს გახდება, რაც უნდა მოინდომოს.

***– ოპოზიციური გაერთიანება მოსწონს, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით აპირებს აქტიურობას. მიიღებს ოპოზიცია?***

– ვიღაცები ისე ელოდებიან, რომ მიიღებენ, მაგრამ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ არ მიიღონ და დასვენება ურჩიონ. შეიძლება, ერთი

## „ერთი კვირის შემდეგ ის აღარავის დააინტერესებს“

კვირა გაგრძელდეს ვანო მერაბიშვილის ირგვლივ მოვლენები, დაინტერესება, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ის აქტუალური აღარ იქნება, ყველას დაავიწყდება.

***– მაინც როგორ წარმოგიდგენიათ მერაბიშვილის პოლიტიკური აქტიურობა?***

– შეიძლება, ერთი რიგითი ლიდერი გახდეს თავის პოლიტიკურ სპექტრში, მაგრამ ეს ვერაფერს შეცვლის.

***– ხელისუფლებაში მობრუნებას, კვლავ თავისი სტატუსის აღდგენას შეძლებს? ხერხემლად იყო აღიარებული...***

– როგორ?! რანაირად?!

***– პოლიციას მიმართა, შეიძლება, კვლავ პოპულარული იყოს პოლიციაში?***

– როგორ უნდა აღუდგეს სტატუსი, არჩევნები ხომ უნდა მოიგოს?! მე არ მგონია, რომ ვანო მერაბიშვილს დღეს ვინმემ, საკუთარი ოჯახის წევრების გარდა, ხმა მისცეს!

„ქართული ოცნება“ მართლაც მუტაციას განიცდის, ბევრმა დავტოვეთ ხელისუფლება, მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, პოლიტიკას სულაც თავი რომ დავანებოთ, როგორ წარმოგიდგენიათ, ამ ქვეყანაში ჯალათი კიდევ ერთხელ გახდეს შინაგან საქმეთა მინისტრი?! მე ეს წარმოუდგენელი მგონია.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც წინ ვართ, საზოგადოება გაიზარდა, საზოგადოება დემოკრატიულ არჩევნებს ითხოვს. სამართლიანობას, კანონის უზენაესობას, ქვეყანაში დემოკრატიას ითხოვს და არა – ვანო მერაბიშვილს! ცხადზე ცხადია, რომ მის მობრუნებას არავინ დაუშვებს, ეს გამორიცხულია.

***– რაც უნდა გაბრაზებულები იყვნენ „ქართულ ოცნებაზე“?***

– დიახ, მაგრამ ერთია გაბრაზება და მეორე – ნაციონალური მოძრაობისა და მერაბიშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება.

დამერწმუნეთ, ჩვენი, „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრების, რომლებმაც უმრავლესობა დავტოვეთ, უკმაყოფილება ხშირ შემთხვევაში მოქალაქეებზე ბევრად უფრო მეტია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მეორე უვარგისით ჩავანაცვლოთ.

***– და რა უნდა გაკეთდეს, რომ ამომრჩეველი ასეთი არჩევანის წინაშე არ დადგეს?***

– მრავალფეროვანი არჩევნები უნდა იყოს, ჩვენ ვაპირებთ არჩევნებში მონაწილეობას და ვეცდებით „ქართული ოცნების“ დამარცხებას.

***– პოლიტიკური პროცესი ჩიხშია შესული. რამდენად შესწევს ძალა ხელისუფლებას, რომ ეს პროცესი ჩიხიდან გამოიყვანოს?***

– უპირველეს ყოვლისა, ამის პოლიტიკური ნება უნდა იყოს. პოლიტიკური ნების შემთხვევაში პრობლემას ვერ ვხედავ. თუ ეს ნება აღმოაჩნდება ხელისუფლებას, პოლიტიკური პროცესი თავისით დაუბრუნდება კალაპოტს.

დღეს ხელისუფლება ძალის დემონსტრირებით, უფრო ზუსტად კი „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ – ამ პოზიციით ცდილობს, თავისი გაიტანოს. გონივრული ნაბიჯები რომ გადაედგა და მთელ პოლიტიკურ სპექტრთან დაეწყო დიალოგი, პოლარიზაცია რომ არ ყოფილიყო მისი მიზანი, მაშინ ეს ჩიხური რეალობა არ გვექნებოდა.

***– არჩილ თალაკვაძეს შეხვდით?***

– არა. დამოუკიდებელ დეპუტატებს, რომლებიც წამოვედით „ქართული ოცნებიდან“, შეხვედრა გვექნება, რომ შეჯერებული პოზიციით წარვდგეთ. ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ გარდა, სხვა პოლიტიკური ძალებიც არიან ბევრად უფრო უკეთესი წარსულით, უკეთესი ცოდნითა და ხედვით ამ ქვეყნის მომავლის.

***– 100-50-ზე მისაღებია?***

– ეს წინადადება ისედაც არის. ლაპარაკია უფრო ნაკლებ მაჟორიტარებსა და პროპორციულ სისტემაზე უფრო დაბალი ბარიერით. ცალ-ცალკე მოლაპარაკებები კი ამ პროცესის გახლეჩის მცდელობა და დროში გაწელვა იქნება.

ასეთ შემთხვევაში ისევ მოქმედ საარჩევნო სისტემას მივიღებთ.

# პეტრე მამრაძე: „ლავროვის შემოშვება საქართველოში არ შეიძლება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** პასუხობს.

***– ბატონო პეტრე, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 30 წლის შემდეგ, ორი დღის წინ, პარლამენტში საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ჰიმნი აჟღერდა. თითქოს ამას პერფორმანსი დაარქვეს, მაგრამ, ფაქტობრივად, ქვეყნის სასესიო დარბაზში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატების, მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წინაშე სიტყვით გამოდიოდა და ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციაზე საუბრობდა, მტერი ქვეყნის ჰიმნი აჟღერდა. რა შთაბეჭდილება შეექმნებოდა დიპლომატიურ კორპუსს? თქვენ ამ ფაქტს როგორ აფასებთ?***

– ეს არის კიდევ ერთი ნამდვილი ლუსტრაცია სააკაშვილისა და მისი ნაცებისა, ვინაიდან სწორედ სააკაშვილმა ბიძამისთან, თემურ ალასანიასთან და სხვებთან ერთად ჩაიდინა ის სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა, რომელიც იყო პირდაპირ პუტინის დაკვეთა და ბრძანება. ამაზე დასავლეთში ბევრი დაიწერა.

სააკაშვილმა ყველაფერი ის აუსრულა (იმაზე მეტიც კი) პუტინს, ვიდრე პუტინს უნდოდა, რომ საქართველოსთვის გაეკეთებინა.

***– ამ დროს სხვას რომ აკრიტიკებენ, ეს რა მიდგომაა?***

– ეს ჩეკისტური მიდგომაა, ის, რასაც შენ ჩადიხარ, ყველაფერი სხვას უნდა დააბრალო. ვინაიდან პატრიოტიზმი ნაძირლების ბოლო თავშესაფარია, იმაზე კი არ საუბრობენ, რომ სააკაშვილისა და ბიძამისის, თემურ ალასანიას დროს ყველაფერი ღირებული, რაც კი იყო საქართველოში – თბოსადგურები, ოქროსა და სპილენძის საბადოები, მარგანეცი და სხვა, მხოლოდ რუსეთს ჩაჰბარდა. რუსებს ჩააბარეს გაზპრომი.

ახლა ეს ადამიანები, ნებისმიერს, ვინც კი ბედავს მათ კრიტიკას, მათ მაშინვე აბრალებენ რუსეთის ჯაშუშობას, მეხუთე კოლონობას, იმას, რომ ამ ყველაფრის უკან არის რუსული ფული და რუსული ხელი.

დიპლომატიურ კორპუსზე, რა თქმა უნდა, მძიმე შთაბეჭდილებას დატოვებდა მათ მიმართ იმიტომ, რომ იქ პროფესიონალი დიპლომატები არიან. თაობები იცვლება, მაგრამ მათი მომზადების დონე მაღალია.

ძალიან კარგად მახსოვს, როგორც პარლამენტის მაშინდელ წევრს, 2009 წლის თებერვალში, როცა სააკაშვილმა პარლამენტში განაცხადა, რომ რუსეთს ცხვირიდან ძმარს ადენდა. რომელმაც მის სამშობლოს ზიანი მიაყენა. შემდეგ გაოგნებული დიპლომატები მეკითხებოდნენ, რას იზამს, რუსეთს კიდევ ომს დაუწყებსო?

***– სინამდვილეში, 2008 წლის ომის შემდეგ რომ განახორციელეს სტრატეგიული ობიექტების ჩაბარება?***

– ზუსტად ასეა, მაგრამ, როდესაც ამას ამბობენ, ნაცები ამაზე საერთოდ არ რეაგირებენ. მათ მაშინვე, სწორედ 2008 წლის დეკემბერში, ოკუპანტებთან საიდუმლო ოქმი გააფორმა.

***– მახსოვს.***

– რატომ გაასაიდუმლოეს, ვის უმალავდნენ, ოკუპანტმა ხომ იცოდა. ე.ი. თავიანთ ხალხს დაუმალეს. აფხაზებს რომ არ აეტეხათ ხმაური, რუსები და ქართველები ჩვენ გარეშე ენგურჰესზე მორიგდნენო, ჩვენ არ გვეცოდნებოდა. სწორედ აფხაზების მეშვეობით 2009 წლის დასაწყისში ინფორმაციამ გაჟონა. მე მაშინვე ჩავერთე და ვთქვი, არ გამოვრიცხავ, იძულებული იყვნენ ეს მოღალატეები, ხელი მოეწერათ ენგურჰესის გასხვისებაზე, რადგან ჩაიდინეს 2008 წლის ავანტიურა, მაგრამ, როგორ შეიძლება, გრიფი „საიდუმლო“ დაადო იმას, რა ცნობილია ოკუპანტისთვის. ამაზე დღემდე პასუხი არ გაუციათ. ეს არაერთხელ შეახსენეს, მაგრამ ნაცებს ტერმინი აქვთ „გაატარე“, „დაიკიდე“.

***– გასაგებია, მაგრამ, რეალურად, არც ერთ ქვეყანაში დამპყრობლის ჰიმნი არ გაუჟღერებიათ, გინდ ამას პერფორმანსი დაარქვან და გინდ – არა.***

– რა თქმა უნდა. მახსოვს, მაშინ ცნობილმა ტელეკომპანია „სქაინიუსმა“ სააკაშვილის მთავრობამ 2008 წლის შემდეგ სააკაშვილის კლოუნების თეატრი უწოდა. მაშინ ეს მე ერთ-ერთ გაზეთში დავბეჭდე, დაიწყეს გაზეთში რეკვა, სად არის ფაქტებიო. უჩვენეს „სქაინიუსის“ გადაცემა, სადაც სააკაშვილის მთავრობა კლოუნების თეატრს იყო შედარებული და გაჩერდნენ. ე.ი. კლოუნების თეატრის პერფორმანსი გაიმართა.

თქვენ კარგად იცით, მე მაქვს უფლება, ნებისმიერი პოლიტიკური ძალა გავაკრიტიკო, მაგრამ სააკაშვილის ნარჩენების „პერფორმანსები“ სამარცხვინოა.

***– სწორედ იმ დროს, როცა პარლამენტის თავმჯდომარე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე საუბრობდა, ჰიმნი ისე გაჟღერდა, თითქოს ოკუპაციას მიესალმნენ. ალბათ, ასე არ უნდოდათ, მაგრამ ასე გამოვიდა.***

– ერთ რამეს გეტყვით – როდესაც გაბუნიამ გვარამიასთან ერთად მოაწყო პათოლოგიური გამოსვლა, სადაც პუტინის გარდაცვლილი დედა ახსენეს, გინების კორიანტელი დააყენეს, მაშინ რუსმა ანალიტიკოსებმა, რომლებიც დღენიადაგ აკრიტიკებენ პუტინის მმართველობას, დაწერეს: ეს ნამდვილად კგბ-ს დავალებით გააკეთა გაბუნიამ.

მახსოვს, გაბუნია რომ გამოდიოდა, მის უკან პირდაპირ პუტინის სურათი ჩანდა.

***– რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ განაცხადა, როდესაც ერთი ადამიანის ვიზიტზე საქართველოში ასეთი აურზაური ტყდება, ე.ი. პრობლემა ქვეყნის შიგნით აქვთო. ასეა?***

– ნამდვილად ასეა. ამ პრობლემას შეგახსენებთ. ჯერ კიდევ სააკაშვილს ეუბნებოდნენ ევროკომისარი, ევროგაერთიანების წარმომადგენელი პიტერ სემნები და სხვები, რომ კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არის კონტრპროდუქტიული, რომელიც აწყობს რუსეთს. ეს კანონი იზოლაციაში აქცევს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დანარჩენი მსოფლიოსაგან, რუსული ტანკები ისევ დგას. მახსოვს მათი დიდი სინანული, თბილისი თვითონ აშენებს ზღუდეს და რკინის ფარდას და ამით ამ რეგიონებს რუსეთს ჩუქნისო.

***– რუსებს არავინ არაფერს ჩუქნის. „ოცნება“ ცდილობდა კანონის შეცვლას, მაგრამ შემდეგ გაჩერდა.***

– ცდილობდა, მაგრამ „ოცნებას“ ევროპელი ლიდერების ამ განცხადების შემდეგაც არ ეყო პოლიტიკური გამბედაობა და შეგნება, მიუხედავად იმისა, საკონსტიტუციო უმრავლესობაც კი ჰქონდა, ამ კანონში ცვლილება შეეტანა და დღეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ექსკლუზიურად რუსეთის ხელში არ ყოფილიყო.

ჯერ კიდევ 2013 წელს მქონდა იმედი, რომ რაღაცას შეცვლიდნენ. რომ ვეუბნებოდი, მპასუხობდნენ: მართალი ხარ, ეს გასაკეთებელია, მაგრამ, ამ კანონის შეცვლა რომ დავიწყოთ, ნაცები ხომ აყვირდებიან, ნაცები რომ აყვირდებიან, შენ გააჩერებ ნაცებსო? მე გაოგნებული ვეუბნებოდი, ნაცების ყვირილის თუ გეშინოდათ, პოლიტიკაში რატომ მოდიოდით-მეთქი.

ოკუპაციის კანონის შესაბამისად, ლავროვის შემოშვება საქართველოში არ შეიძლება, რადგან ნამყოფია აფხაზეთში, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და ხელს აწერდა გარკვეულ დოკუმენტებზე. ამიტომ, თუ ლავროვს შემოუშვებს ახლანდელი ხელისუფლება, რომელსაც გამბედაობა არ ეყო, კანონი შეეცვალა, ეს იქნება კანონის დარღვევა. უნდა გამოაცხადონ, რომ ვისაც კანონი აქვს დარღვეული, არავის შემოუშვებენ. ესენი ვერც ერთის თქმას ბედავენ და ვერც მეორისას.

ხელისუფლება, რომელიც თავის ფუნქციას ვერ ასრულებს და ამის გამო ქვეყანაში კრიზისები იქმნება, ე.ი. საქმე ცუდადაა.

***– ნაციონალები და მათი განაყოფები გაერთიანებულ ოპოზიციაში არიან. მათ უგულავას დაპატიმრების გამო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე უარი თქვეს, გადავიდნენ ქუჩის აქციებსა და პერფორმანსებზე. სადამდე მიიყვანს ეს პოლიტიკა ოპოზიციას?***

– ამგვარი პოლიტიკა მათთვის ძალიან წამგებიანია, მაგრამ, თუ „ოცნება“ ამის საპირწონედ განახორციელებს პოლიტიკური იდიოტიზმების სერიას, ჩაიდენს პოლიტიკურ იდიოტობებს, ნაცების წამგებიანი პოლიტიკა გაბათილდება. იმედია, „ოცნება“ პოლიტიკური იდიოტობების სერიას არ წამოიწყებს.

მინდა, ყველამ იცოდეს, სააკაშვილსა და ყველა ჯურის ნაცს მხოლოდ ფული აინტერესებთ და მეტი არაფერი, მხოლოდ და მხოლოდ ფულის გამო დაქრიან ხან ვარშავაში, ხან – ბრიუსელში, ხან – კიევში მიშასთან.

***– მოსკოვშიც დაქრიან.***

– კი ბატონო, მოსკოვშიც დაქრიან, ოღონდ რაღაც გასამრჯელო მიიღონ. არავითარი პოლიტიკური კრედო, არავითარი პროგრამა ქვეყნის რთული მდგომარეობიდან გამოყვანისა მათ არ აქვთ, მხოლოდ ფული აინტერესებთ.

„ოცნება“ სრულად პროპორციულ სისტემაზე რომ გადასულიყო, ახლა იყვირებდნენ, რომ საჭიროა მაჟორიტარული სისტემა, რადგან უფრო დემოკრატიულია, ანუ მათ შეიძლება, ყოველთვის რაღაცაზე იყვირონ და პერფორმანსები მოაწყონ.

# ასლან ბჟანიას საარჩევნო შტაბს ალექსანდრე ანქვაბი ხელმძღვანელობს

## ინალ არძინბა: „ვინც მაბრალებს, რომ აფხაზეთის რუსეთთან მიერთება მინდა, ჩემი ფესვები არ იცის“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში განმეორებითი დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გამოიკვეთნენ პრეზიდენტობისა და ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატები.

ყველაზე რეალური ფაქტობრივი საპრეზიდენტო კანდიდატია ასლან ბჟანია, მისი გუნდის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი კი – ბადრა გუნბა.

ბჟანიას საარჩევნო შტაბს სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც 2014 წელს რევოლუციური გადატრიალების შემდეგ აიძულეს, წასულიყო თანამდებობიდან.

– ვიმედოვნებთ, რომ ღვთისა და ჩვენი ხალხის დახმარებით ბევრი კარგი და კეთილი საქმის გაკეთებას შევძლებთ, – აცხადებს რამდენიმე თვის წინ მოწამლული ასლან ბჟანია.

როგორც დაანონსებული იყო, აფხაზეთში ბჟანიას პარალელურად გააქტიურდა რუსეთში დაწინაურებული ახალგაზრდა ინალ არძინბა. იგი რუსეთის მოქმედი სახელმწიფო მრჩეველია და ჯერ კრემლში საქმიანობდა, ბოლო დროს კი – რუსეთის საპატრიარქოში.

ჟურნალისტების კითხვას იმის თაობაზე, რომ მას ბჟანიას მარჯვენა ხელად მოიხსენიებენ, ინალ არძინბა პირდაპირ არ პასუხობს. მისი თქმით, ყოველთვის, ნებისმიერ ადგილად ცდილობდა, სარგებლობა მოეტანა აფხაზეთისთვის. თავის გეგმებს იგი ყველას აცნობდა, მათ შორის, ახლახან ხალხის ზეწოლით გადამდგარ პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას.

აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას იგი სტაბილურს უწოდებს. ინალ არძინბა იმედს გამოთქვამს, რომ არჩევნები პატიოსნად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩაივლის.

ინალ არძინბა წინა წლებშიც არაერთხელ მოუხსენიებიათ კრემლის დავალებების ბრმა შემსრულებლად და აფხაზეთის რუსეთთან შეერთების სავარაუდო მონაწილედ. ამ შეკითხვით მას ახლა სოხუმში მიმართეს.

– ადამიანები, რომლებიც წერენ, რომ მე აფხაზეთის რუსეთთან მიერთება მინდა, არ მიცნობენ. მათ არ იციან, რას წარმოვადგენ, როგორი ურთიერთობები და ფესვები მაქვს. ყველა ჩემი ახლობელი უფროსი თაობიდან იცავდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ბიძაჩემი აკა არძინბა იმათგანი იყო, ვინც მეთაურობდა სოხუმის გათავისუფლების ოპერაციას. მე როგორ შემიძლია, სადაც არ უნდა ვიყო, არ დავიცვა ჩემი ქვეყანა და მასზე არ ვიზრუნო? – ამბობს აფხაზეთში მყოფი ინალ არძინბა.

ინალ არძინბას სოციალური პლატფორმა, რომლის რეალიზაციაც აფხაზეთში დაიწყო, სამ მიმართულებას მოიცავს.

გაიმართება ახალგაზრდა ლიდერთა კონკურსი სახელწოდებით „აფხაზეთის სიამაყე“.

შეიქმნება ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა.

აფხაზეთის ახალგაზრდები სტაჟირებას გაივლიან მოსკოვში.

– კონკურსი ჩაფიქრებულია, როგორც სოციალური ლიფტი ახალგაზრდა მმართველებისთვის, – აღნიშნავს ინალ არძინბა.

ამ ეტაპზე ინალ არძინბა დაკავებულია ამ სოციალური პლატფორმით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი სხვა საქმიანობაზე უარს იტყვის. არ არის გამორიცხული, მან ახალ პარტიას უხელმძღვანელოს ან არჩევნების შემდეგ რომელიმე თანამდებობაზე დაინიშნოს.

ბჟანიას შესაძლო გაპრეზიდენტებამ აფხაზეთში გააააქტიურა მტკივნეული თემა – უძრავი ქონების გასხვისება.

არსებული მდგომარეობით, რესპუბლიკაში უძრავი ქონების შეძენის უფლება მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებს აქვთ. აფხაზეთის საზოგადოების ნაწილს ეს უსამართლოდ მიაჩნია. ამ ხალხის აზრით, შეზღუდვები მოსახსნელია.

ამ თემაზე პოლემიკისას კომენტატორები იხსენებენ რაულ ხაჯიმბას პოზიციას. მათი თქმით, ხაჯიმბა ხელისუფლებაში მოსვლამდე მოღალატედ აცხადებდა ყველას, ვინც უძრავი ქონების გასხვისებაზე შეზღუდვის მოხსნას ემხრობოდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხაჯიმბამ რიტორიკა შეცვალა, თუმცა აკრძალვა არ მოხსნილა.

აფხაზეთის საზოგადოება ლოიალური ხდება უძრავი ქონების გასხვისების, ასევე, აფხაზური პასპორტების დარიგების მიმართ, თუმცა მკაცრი მიდგომაა აფხაზეთის ომის მეორე მხარის მონაწილეებისადმი.

აფხაზეთის პროკურატურა იძიებს იმ კორუმპირებული მოხელეების საქმეს, რომლებმაც რესპუბლიკის მოქალაქეობა მისცეს პირებს, რომლებიც აფხაზების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

გამოიკვეთა ვიცეპრეზიდენტის ხელმოწერის გაყალბების ფაქტიც.

# სოსო ცინცაძე: „მერაბიშვილს შემრიგებლური როლი ექნება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლად შეეცდება, ორივე ფრთასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს, მაგრამ მისი გული მაინც ნაციონალურ მოძრაობაშია დამარხული და მისკენ იხრება.

***– გამოდის, რომ მაინც სააკაშვილთან იქნება?***

– იქნება, მაგრამ დადგება სხვა საკითხები. მე, მაგალითად, ძალიან მაინტერესებს გრიგოლ ვაშაძის პოზიცია. დღეს ოპოზიციას ლიდერი არ ჰყავს, მერაბიშვილიც არასდროს ყოფილა საჯარო ფიგურა. ის, ადეიშვილის მსგავსად, ეფექტურ მენეჯერებს რომ ეძახიან დასავლეთში, ისეთი ფიგურა იყო. მერაბიშვილი არავის უნახავს მიტინგებზე გამოსული, ისე, როგორც სააკაშვილი თუ უგულავა.

***– ქარიზმატული ლიდერი არ არის?***

– დიახ, ქარიზმა არ აქვს. ამიტომ მერაბიშვილი, როგორც ლიდერი, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ დღეს ლიდერების დეფიციტია. რამდენიმემ ცადა ოპოზიციიდანაც, საზოგადოებაც ეძებს, მაგრამ არ ჩანს. რამდენიმე წლის წინ ამომავალ ვარსკვლავად განიხილავდნენ ვაშაძეს, მაგრამ არ გამოვიდა და არ გაამართლა საზოგადოების მოლოდინი.

მერაბიშვილი იჯდა ციხეში 7 წელი, არ უღალატა თავის პრინციპებსა და იდეალებს და ეს არის დასაფასებელი. ამ ფაქტორის პოლიტიკურ ექსპლუატაციას ნაციონალური მოძრაობა ფართო მასშტაბებში ეცდება და სწორიც იქნება. ეს არის პოლიტიკა და პოლიტტექნოლოგია.

„ოცნება“ წინასწარ გაშიფრულია და მისგან არავითარი კრეატივი მოსალოდნელი არ არის. არიან ადამიანები, რომლებიც, პირს გააღებენ თუ არა, უკვე იცი, რაზე ილაპარაკებენ. „ოცნება“ ილაპარაკებს მერაბიშვილის წარსულზე, რა ხდებოდა მისი მინისტრობისას, ვის რა წაართვა, ვინ დაარბია და ა.შ. მაგრამ ამ ადამიანმა ამაზე პასუხი უკვე აგო. საბჭოთა კავშირის დროს, მაგალითად, ასე იყო, მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული ციხიდან რომ გამოდიოდა, მას შეეძლო, 5-6 წლის შემდეგ თავის ბიოგრაფიაში აღარ ჩაეწერა, რომ პატიმარი იყო, რადგან ითვლებოდა, რომ ის წარსულია. მოგეხსენებათ, მაშინ ყველანი ბიოგრაფიებს ვავსებდით და, დაბადებიდან მოყოლებული, სად იყავი, უნდა ჩაგეწერა, მაგრამ ყოფილ პატიმარს ეს უფლება ეძლეოდა.

არ შეიძლება, გაუთავებლად წარსულზე ილაპარაკო. პოლიტიკაში, პოლიტოლოგიასა და პოლიტტექნოლოგიაში დამკვიდრებულია რკინის პრინციპი, რომ წინა ხელისუფლების დანაშაული და შეცდომა არ შეიძლება ინდულგენციად იქცეს მოქმედი ხელისუფლებისთვის. ეს პოლიტიკაა ზუსტად, რომ აი შენ დროს რა ხდებოდა და ა.შ. ეს, იცით, რას ჰგავს? სოფლის დედაკაცები ჩხუბს რომ დაიწყებენ და ერთმანეთს რომ გაუხსენებენ, მე თუ იმასთან ვიწექი, შენ ამასთან იწექიო.

ამიტომ მერაბიშვილის როლის არც გადაფასებაა სწორი და არც დაუფასებლობა. ვთქვათ, გამოვიდა ლიდერი ციხიდან და არჩევნებს მოიგებს, რაც ნელსონ მანდელამ გააკეთა თავისი ეროვნული კონგრესით სამხრეთ აფრიკაში და არც ის არის სწორი, რომ ეს დეგრადირებული პოლიტიკოსია და ვეღარც აზროვნებს, ვეღარც ვერაფერი. მერაბიშვილი ფიგურაა.

***– ანუ არც გმირად არ უნდა ვაქციოთ და არც მის წარსულზე უნდა ვილაპარაკოთ მუდმივად?***

– რასაკვირველია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პატრულის რეფორმას ვერავინ ვერსად გაექცევა, მაგრამ არც გადაფასება და შეუფასებლობა იქნება სწორი. არც გადაფასება შეიძლება და არც შეუფასებლობა. როგორც შენც თქვი, ის არ არის ქარიზმატული ლიდერი, არც საჯარო პოლიტიკოსია და ორატორული ნიჭიც არ გამოუვლენია ჯერ. შეიძლება, ახლა გამოავლინოს, ვინაიდან მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. ის პროპაგანდისა და იდეოლოგიის მინისტრი ხომ არ ყოფილა! აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მერაბიშვილის პერსონის გარშემო სიახლეები ვნახოთ.

# „მე დავბრუნდები“ — ზურაბიშვილის საიტზე სააკაშვილის ფოტო რუსეთის გრუ-ს ჰაკერებმა განათავსეს

## საგარეო უწყება რუსეთს ჰაკერულ შეტევას სდებს ბრალად

2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედია ორგანიზაციების ვებგვერდებზე, სერვერებსა და სხვა მართვით სისტემებზე დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს მიერ.

ამის შესახებ გუშინ, 20 თებერვალს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვლადიმერ კონსტანტინიდიმ უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც კონსტანტინიდიმ განმარტა, კიბერშეტევის შედეგად დაზიანდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სერვერები, მართვითი სისტემები და მნიშვნელოვნად შეფერხდა მათი ფუნქციონირება.

– 2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში განხორციელდა ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედია ორგანიზაციების ვებგვერდებზე, სერვერებსა და სხვა მართვით სისტემებზე. კიბერშეტევის შედეგად დაზიანდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სერვერები, მართვითი სისტემები და მნიშვნელოვნად შეფერხდა მათი ფუნქციონირება.

აღნიშნული კიბერშეტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას, საქართველოს მოსახლეობისათვის ზიანის მიყენებას და სამთავრობო სტრუქტურების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების ფუნქციონირების შეფერხებით და მოშლით საზოგადოებაში მღელვარების დათესვას.

ქართული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებით და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული კიბერშეტევა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს მიერ.

საქართველო გმობს აღნიშნულ კიბერშეტევას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს და წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის მორიგ ხელყოფას, მიმართულს ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ.

მომხდარი ხაზს უსვამს ეროვნულ დონეზე კიბერუსაფრთხოების განმტკიცებისკენ საქართველოს მთავრობის მხრიდან მიმართული ძალისხმევის მნიშვნელობას და ასევე კიდევ ერთხელ მოწმობს კიბერუსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო პარტნიორობის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

თავის მხრივ, საქართველო, მომავალშიც განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორებთან ეროვნულ დონეზე კიბერუსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, რათა მომავალში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შესაბამისი რისკები და პოტენციური საფრთხეები.

მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას სათანადო შეფასება მისცეს აღნიშნულ ფაქტს, – განაცხადა ვლადიმერ კონსტანტინიდიმ.

28 ოქტომბრის კიბერშეტევის შედეგად პრეზიდენტის საიტზე არც ერთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იყო და ჩანდა მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის ფოტო, წარწერით I'LL BE BACK („მე დავბრუნდები“).

გარდა პრეზიდენტის ვებგვერდისა, ჰაკერული შეტევა განხორციელდა სასამართლოების, რამდენიმე ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა სტრუქტურების საიტებზეც, სადაც მიხეილ სააკაშვილის იგივე ფოტო ჩანდა.

# „მერაბ კობიაშვილი თავს იცავდა“

## ადვოკატი ბრალის გადაკვალიფიცირებას ითხოვს

რამდენიმე დღის წინ გუდაურში მომხდარი მკვლელობის საქმეზე ბრალდებული მერაბ კობიაშვილის ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე ბრალის გადაკვალიფიცირებას ითხოვს. მისი თქმით, ის მუხლები, რომლებიც მისი დაცვის ქვეშ მყოფს წაუყენეს, არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება.

– ჩვენ ვითხოვთ, რომ სასამართლომ არ გაიზიაროს ბრალდების მხარის პოზიცია როგორც განზრახ მკვლელობის ნაწილში, ასევე მკვლელობის მცდელობის ნაწილში.

რაც შეეხება იმას, თუ რა მიმართულებით წავალთ არსებითი განხილვის სხდომაზე, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ კატეგორიულად, რომ ის მუხლები, რაც მას აქვს წაყენებული, არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება და ეწინააღმდეგება სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას.

შესაბამისად, მე დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ნორმალური მოსამართლე, რომელსაც აქვს უბრალოდ თავმოყვარეობა, იცნობს კანონმდებლობას და გააჩნია დამოუკიდებლობა პროკურატურის ამ პოზიციას ნამდვილად არ გაიზიარებს, – განაცხადა კაკაბაძემ.

ადვოკატმა თავისი კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც ისაუბრა. მისივე ინფორმაციით, კობიაშვილს დაზიანებები მიღებული აქვს როგორც ფეხის, ასევე ხელისა და სახის არეში, აქვს ტვინის შერყევა.

– დაახლოებით ხუთი პირი ერთდროულად თავს ესხმოდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. აღნიშნული ასევე დადასტურებულია სამედიცინო დოკუმენტაციით და კარგად ნახეთ ფოტოები, სადაც კარგად ჩანს თუ როგორი დაზიანებები აქვს მას მიყენებული როგორც ფეხის, ასევე ხელისა და სახის არეში. მას აქვს ტვინის შერყევა და ძალიან უჭირს გადმოსცეს ფაქტები და ისაუბროს დეტალებზე. მას უჭირს მოძრაობა, სიარული და იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში.

აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ დაცვის მხარე წარმატებით შეეძლებთ იმის დადასტურებას, რომ ეს ადამიანი სინამდვილეში თავს იცავდა და მას არავის მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია. შესაბამისად 19-109-ე და 108-ე მუხლები ამ შემთხვევაში უადგილოა და მომხდარს არ შეესაბამება, – აღნიშნა ტარიელ კაკაბაძემ.

შეგახსენებთ, რომ მერაბ კობიაშვილი შსსმ განზრახ მკვლელობისა (108-ე მუხლი) და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის (19-109-ე მუხლი) ბრალდებით დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა მიმდინარე წლის 16 თებერვალს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1992 წელს დაბადებულ თ.გ.-ს და 1994 წელს დაბადებულ დ.ს.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა. თ.გ. შემთხვევის ადგილზე დაიღუპა, ხოლო დ.ს. გადაყვანილია საავადმყოფოში.

# სალომე ბოხუას მკვლელობისთვის გიგა აბრალავას პატიმრობა შეეფარდა

სამტრედიაში ცოლის, სალომე ბოხუას, მკვლელობაში ბრალდებულ გიგა აბრალავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გადაწყვეტილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილმა გამოიტანა.

მოსამართლის განცხადებით, სასამართლოსთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო პატიმრობის შეფარდებისთვის. მისი თქმით, აღკვეთის ღონისძიების მსუბუქი ფორმის შეფარდების შემთხვევაში, დანაშაულის განმეორების რისკები არსებობდა.

პატიმრობას მოითხოვდა ბრალდების მხარე. დაკავებულის ადვოკატის თქმით, ეთანხმებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა არ იზიარებენ ვარაუდს მოწმეებზე ზეგავლენის, მტკიცებულებების განადგურებისა და ქვეყნის დატოვების შესახებ, რადგან დაკავებულს განზრახული ჰქონდა, თავად ჩაჰბარებოდა პოლიციას.

წარდგენილ ბრალს სრულად ეთანხმება დაკავებული გიგა აბრალავა.

მომდევნო პროცესი 8 აპრილს გაიმართება.

18 თებერვალს სამტრედიაში ახალგაზრდა ქალი იუსტიციის სახლში განქორწინების მიზნით მივიდა, სადაც მას ქმარი დახვდა და დანით ჭრილობა მიაყენა. დაკავებულ მამაკაცს ბრალი სისხლის სამართლის 11 პრიმა 109-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის აქვს წარდგენილი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# „ნიკოლოზ ხადურმა ტაქსისტი დავით შამათავა ნაჯახითა და დანით მოკლა“

## ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯალარში, ტაქსის მძღოლის დავით შამათავას მკვლელობაში ბრალდებულს, ნიკოლოზ ხადურს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილმა პროკურორ ლევან ჯალაღანიას შუამდგომლობა დააკმაყოფილა და აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო.

საქმის პროკურორის განცხადებით, მოთხოვნა იყო ბრალდებულის მიმართ, სასამართლოს გამოეყენებინა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ვინაიდან გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულს ჰყავს დედა თურქეთის რესპუბლიკაში, მას უფიქსირდებოდა სავარაუდო დანაშაულის ჩადენამდე საზღვრის კვეთები, შესაბამისად ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ არის რეალური საფრთხე იმისა, რომ ბრალდებული მიიმალოს.

– ბრალდებულმა დაიქირავა მოკლული ტაქსის სერვისის გაწევის მიზნით და მოსთხოვა, გადაეყვანა სოფელ ყარაჯალარში, სადაც მიიყვანა ტაქსი დაუსახლებელ პუნქტში და მის ხელთ არსებული მცირე ზომის ნაჯახისა და საოჯახო დანის გამოყენებით მიაყენა რამდენიმე ჭრილობა, რის შემდეგაც ტაქსის მძღოლი დავით შამათავა დაიღუპა. აღნიშნულის შემდეგ ბრალდებული გაემართა თბილისში, უკვე სხვა ტაქსი დაიქირავა შემთხვევის ადგილის მახლობლად, სადაც შეიძინა ბენზინი, დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, გადაიყვანა მანქანა ტყის პირას, მოათავსა უკანა სავარძელში ტაქსის მძღოლი, წაუკიდა ცეცხლი და მიიმალა, – განაცხადა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ლევან ჯალაღანიამ.

ბრალდებულის ადვოკატ ნიკა გუჯაბიძეს თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სრულიად უდანაშაულოა. დაცვის მხარემ სასამართლოს შესთავაზა გირაო 10.000 ლარის ოდენობით, თუმცა სასამართლომ აღნიშნული არ გაითვალისწინა.

ადვოკატი აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

– მიმაჩნია, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არის სრულიად უდანაშაულო. სახელმწიფო ბრალდებას აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პირდაპირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტსაც კი ვერ ლახავს. აქედან გამომდინარე ის რაზეც ბრალდების მხარემ ყურადღება გაამახვილა ეს მხოლოდ და მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდია, – განაცხადა ნიკა გუჯაბიძემ.

ბრალდებულს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა და, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას იყო შეურაცხადი, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება და მკურნალობის კურსი დაენიშნება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

მკვლელობა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯალარში, 16 თებერვალს მოხდა.

**ინფორუსთავი**

# უკრაინაში საქართველოს 27 წლის მოქალაქე მოკლეს

## დააკავეს 25 წლის მამაკაცი

უკრაინაში საქართველოს 27 წლის მოქალაქე მოკლეს. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

შემთხვევა 17 თებერვალს, გვიან ღამით, სუმის ოლქის ქალაქ შოსტკაში მოხდა.

შელაპარაკება ერთ-ერთ კაფეში დაიწყო და შემდგომ ქუჩაში გადაინაცვლა. 25 წლის მამაკაცმა საქართველოს მოქალაქე ცივი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა. ამასთანავე, შემთხვევის დროს დაშავდა კიდევ ერთი პირი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დამნაშავე ადგილიდან მიიმალა, თუმცა მოგვიანებით ის პოლიციამ დააკავა.

# აშშ-ის დაზვერვას ახალი შეფი ჰყავს

აშშ-ის ნაციონალურ დაზვერვას ახალი შეფი ჰყავს. ტრამპმა ამ პოსტზე რიჩარდ გრენერი დანიშნა.

დაზვერვის ახალი შეფი 1955 წელს დაიბადა. დაამთავრა ევანგელისტური უნივერსიტეტი. არის ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული მართვის სკოლის მაგისტრი. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე რესპუბლიკელი კანდიდატის მიტ რომნის მრჩეველი იყო.

დემოკრატიული პარტია ახალი კანდიდატის დანიშვნას აკრიტიკებს. დემოკრატები ამტკიცებენ, რომ გრენერი არ არის პროფესიონალი და აქამდე დაზვერვის საკითხებისგან შორს იდგა.

# აშშ-ში რუსეთის ჯაშუში დაიჭირეს

აშშ-ში რუსეთის ჯაშუში დაიჭირეს. მსტოვარი მაიამის აეროპორტში აიყვანეს. მისი სახელი და გვარი ალეხანდრო ფუენტესია.

ფუენტესი მექსიკის მოქალაქეა, მაგრამ სინგაპურში ცხოვრობდა. გამოძიების ფედერალურ ბიუროს გააჩნდა ინფორმაცია, თუ სად და როდის მოისყიდეს ის რუსებმა. ფუენტესი აშშ-ში სპეციალური დავალებით ჩავიდა. მას უნდა მოეძებნა აშშ-ის მთავრობის ერთ-ერთი წევრის სახლი და მისი მანქანის ნომერი დაედგინა.

გფბ-მ ჯაშუშს მეთვალყურეობა დაუწესა.

ჯაშუში ფრთხილობდა. მან დაადგინა ხსენებული ჩინოვნიკის მისამართი. ამის შემდეგ მისმა ცოლმა ამ კაცის სახლისა და მანქანის

ფოტო გადაიღო. შეასრულეს რა დავალება, ფუენტესმა და მისმა ცოლმა აშშ-ის დატოვება ცადეს. ორივენი მაიამის აეროპორტში აიყვანეს.

ფუენტესმა დაკითხვისას ამომწურავი ჩვენება მისცა. გამომძიებლებმა მას პირდაპირ განუცხადეს, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოსათვის სასარგებლო მუშაობას ეწეოდა. აშშ-ში ასეთი ქმედება მკაცრად ისჯება. ფუენტესსაც ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. კედელთან მომწყვდეულმა ჯაშუშმა გამოძიებასთან თანამშრომლობა არჩია და ამომწურავი ჩვენება მისცა.

რუსეთის ჯაშუშის შეპყრობა ამერიკულმა მედიამ ფართოდ გააშუქა.

რუსეთი ამაზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

# გერმანიის ჩილიმბარებში 9 ადამიანი მოკლეს

## თავდამსხმელი საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს

გერმანიის ქალაქ ჰანაუში, რომელიც ფრანკფურტთან ახლოს მდებარეობს, სროლა იყო, რის შედეგადაც დაღუპულია 9 ადამიანი.

სროლა ორ ლოკაციაზე განხორციელდა, რომლის დროსაც შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლი ჩილიმბარებს გაუხსნეს და გაიქცნენ.

ქალაქში მობილიზებული იყვნენ პოლიცია და სპეცდანიშნულების ძალები, გადაიკეტა 2 ქუჩა. ძებნა-დაკავების ღონისძიებაში ჩართული იყო ვერტმფრენები.

შეტევიდან რამდენიმე საათში სროლაში ეჭვმიტანილი 1 მამაკაცი საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. იმავე სახლში პოლიციამ მისი დედის გვამი იპოვა.

დაღუპულთაგან რამდენიმე პირი თურქი ეროვნებისაა. თავდასხმის მიზეზი, სავარაუდოდ, ქსენოფობიაა.

– იმედი გვაქვს, რომ გერმანიის ხელისუფლება მაქსიმუმს გააკეთებს, რათა ვითარებას ნათელი მოჰფინოს. რასიზმი კოლექტიური კიბოა, – აცხადებს თურქეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი იბრაჰიმ კალინი.

ინციდენტს ანგელა მერკელის „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი ანაგრეტ კრამპ-კარენბაუერი გამოეხმაურა. მისი თქმით, ქსენოფობია გერმანიის მზარდი პრობლემაა.

– საწამლავია, ადამიანები მოწინააღმდეგეებად აღიქვა, შენი თავი სხვებზე უკეთესად მიიჩნიო, თანამოქალაქეები უცხოებად წარმოიდგინო – ეს საწამლავია, რომელიც უფრო და უფრო იპყრობს საზოგადოებას და კრიმინალისკენ უბიძგებს, – განაცხადა კარენბაუერმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თაღლითი თავს მონაზვნად ასაღებდა და მონასტრებში იმალებოდა

იტალიაში დაიჭირეს თაღლითი ქალი, რომელიც ორი წლის განმავლობაში თავს მონაზვნად ასაღებდა და პოლიციას ასე ემალებოდა.

2017 წლის ბოლოს სიცილიის სასამართლომ 47 წლის ქალი, რომელიც თაღლითობაში იყო ეჭვმიტანილი, დამნაშავედ ცნო და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი.

თაღლითზე გამოცხადდა ძებნა, მაგრამ მან სიცილიიდან გაქცევა მოასწრო, იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში ჩავიდა და პიომონტესა და ლომბარდიის მონასტრებში დაიწყო რეკვა. ქალი თავს მონაზვნად ასაღებდა და აცხადებდა, რომ დახმარება სჭირდებოდა.

ქალი, რა თქმა უნდა, საკუთარ ვინაობას არ ამხელდა, ხოლო ერთ-ერთ მონასტერში თავი დედა-იღუმენიად დაასახელა, მეორეში კი თავი იმ მცხოვრები მონაზვნის ნათესავად გაასაღა. ერთ მონასტერში რამდენიმე დღის გატარების შემდეგ ის უკვე სხვა მონასტერში გადადიოდა.

თებერვლის დასაწყისში თაღლითმა თავშესაფარი ქალაქ გალარატეში მდებარე მონასტერში ითხოვა. მონაზვნების ყურადღება მის მონათხრობებში გაჟღერებულმა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებმა მიიქცია და მათ პოლიციას მიმართეს. ქალი პოლიციელების მიერ დასმულ კითხვებს საკმაოდ მხნედ პასუხობდა, თუმცა საკუთარი ბიოგრაფიის სრულიად უბრალო დეტალებს ურევდა. შემდეგ კი მას მოპარული საბუთები აღმოუჩინეს.

ცრუ მონაზონი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც დაადგინეს, რომ სასჯელს თავს არიდებდა და დააპატიმრეს. მას, სავარაუდოდ, უკვე მისჯილ პატიმრობის ორ წელზე დამატებითი სასჯელი დაედება სხვისი სახელით სარგებლობისა და მართლმსაჯულებისთვის თავის არიდებისთვის.

# მოდელის მკვლელობაში მისი ყოფილი შეყვარებულია ეჭვმიტანილი

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესში ცნობილი ამერიკელი მსახიობისა და კომიკოსის დრიუ კერის ყოფილი საცოლე მოკლეს.

შაბათს, 15 თებერვალს, 38 წლის ამი ჰარვის მეზობელმა მისი სახლიდან გამომავალი ქალის ყვირილი გაიგონა და პოლიციაში დარეკა. ადგილზე მისულმა პატრულის თანამშრომლებმა ქალი სამსართულიანი შენობის გვერდით, მიწაზე, უგონო მდგომარეობაში დაგდებული ნახეს. ვარდნის შედეგად მიღებული მძიმე დაზიანებებით ქალი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის მოგვიანებით გარდაიცვალა.

გამომძიებლებმა პლეიბოის ყოფილი მოდელის სახლში გატეხილი კარი და იქ ორთაბრძოლის ნაკვალევი აღმოაჩინეს. მკვლელობაში მთავარ ეჭვმიტანილად ქალის ყოფილი შეყვარებული, 41 წლის გარეტ პერსჰაუზი დასახელდა. იმავე დღის შუადღისას მამაკაცი დააკავეს ორი მილიონი დოლარის გირაოს გადახდით გათავისუფლების უფლებით. ჰარვის საჩივარი ჰქონდა შეტანილი პოლიციაში პერსჰაუზის წინააღმდეგ და ასევე შემაკავებელ ორდერზე, თუმცა მისი მოქმედების ვადა ამოწურული იყო და მკვლელობამდე ორი კვირით ადრე მამაკაცი ყოფილ შეყვარებულთან იყო მისული.

# შიდა მონღოლეთის მკვიდრნი ხუთი მზის ხილვამ გააოგნა

ჩინეთის შიდა მონღოლეთის მცხოვრებლები განთიადისას ხუთი მზის მხილველები გახდნენ.

ამ ფენომენის ამსახველი ვიდეო ჩინეთის მედიაში გამოქვეყნდა წარწერით: „როგორი შთამბეჭდავი სანახაობაა! ხუთი მზე ანათებს ცაში შიდა მონღოლეთის თავზე“.

აღნიშნულმა ვიდეომ ვირუსული პოპულარობა მოიპოვა და სოციალური ქსელების მომხმარებლები გააოგნა. ერთ-ერთმა მათგანმა კი იკითხა: „ეს ჰაერის დაბინძურების შედეგია?“

ამ ფენომენს პარგელია ჰქვია. უიშვიათესი ოპტიკური ილუზია იმ დროს ხდება, როდესაც მზის სხივები ცაში ექვსკუთხა ყინულის კრისტალებში გაივლიან. პარგელიის წარმოსაქმნელად საჭიროა, რომ ჰაერის ტემპერატურა მინუს 20 გრადუსზე დაბალი იყოს.

# მამაკაცმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და ცოლს დაუმალა

ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალაქ ჩელმსფორდის მცხოვრებმა ლატარიაში მსხვილი ჯეკპოტი მოხსნა და რამდენიმე დღის განმავლობაში ცოლს უმალავდა.

49 წლის ტიმ კარსონმა ლატარიაში დაახლოებით 324 ათასი დოლარი მოიგო. მან გადაწყვიტა, ცოლისთვის სიურპრიზი გაეკეთებინა და სასიხარულო ახალი ამბავი მისთვის მხოლოდ დასვენების დღეს გაემხილა. მისივე თქმით, ამ ამბის საიდუმლოდ შენახვა ადვილი არ იყო. ამის გამო მამაკაცი რამდენიმე დღის განმავლობაში ხშირად ესაუბრებოდა თავის ძაღლ ჰარლის.

– ჰარლი ერთადერთი იყო, რომელმაც ფულის მოგების შესახებ იცოდა, – ირონიულად იხსენებს კარსონი. მან აღნიშნა, რომ ის და მისი მეუღლე ხშირად ოცნებობდნენ ლატარიაში მოგებასა და სახლის ყიდვაზე. ის ცდილობდა, შესაფერის მომენტს დალოდებოდა და მეუღლისთვის მხოლოდ მაშინ ეთქვა.

– ეს ჩემი საჩუქარია ელისონისთვის იმისთვის, რომ მეხმარებოდა, არ დამეკარგა მომავლის რწმენა. მისი მადლობელი ვარ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ის იჩენდა ჩემი პენსიაზე გასვლის შემდეგ, – ხაზგასმით აღნიშნა კარსონმა.

მამაკაცის მეუღლე ელისონი, როდესაც ჯეკპოტის მოგების შესახებ გაიგო, შოკში ჩავარდა.

– ვერ ვიჯერებ, რომ ტიმმა ჩემგან მოგების დამალვა მოახერხა, – ამბობს ქალი, – ეს მართლაც საუკეთესო ახალი ამბავია ჩემს სამყაროში. უზომოდ ბედნიერი ვარ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მონადირემ მშვილდ-ისრით რეკორდული ზომის დათვი მოკლა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მკვიდრმა მონადირემ მშვილდ-ისრით მოკლა შავი დათვი, რომელიც რამდენიმე ცენტნერს იწონიდა. ადგილობრივი მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ეს ყველაზე დიდი ბარიბალია, რომელიც კი ოდესმე მშვილდ-ისრის გამოყენებით მოუკლავთ ჩრდილოეთ ამერიკაში.

ჯეფ მელილომ შავი დათვი (ბარიბალი) მორისის ოლქში მოკლა და 1993 წელს კალიფორნიელი მონადირის მიერ დამყარებული რეკორდი დაამხო. მელილოს მიერ მოკლული დათვის წონამ – 317 კილოგრამი, ხოლო თავის ქალის სიგრძემ 58 სანტიმეტრი შეადგინა.

ახალი რეკორდის დამყარების თაობაზე განცხადება საგანგებო ჟიურომ აქტიური დასვენების დიდი ამერიკული შოუს დროს გააკეთა. დათვის ტყავისგან გააკეთებენ ფიტულს, რომელსაც ვირჯინიის შტატში პუპისა და იანგის მონადირეთა კლუბში გამოფენენ.

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**მალამო მენტორი ხუთი**

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.** ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

**განცხადებები**

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

# ლაიფციგმა და ატალანტამ მეოთხედფინალისკენ გაიწიეს

**ტოტენჰემი-ლაიფციგი 0:1**

**ლონდონი. ტოტენჰემ ჰოთსპური**

**0:1 ვერნერი (58პ)**

**ტოტენჰემი:** ლორისი, ორიე, სანჩესი, ალდერვეირელდი, დევისი, ფერნანდეში (ლამელა 64), ვინკსი, ლო სელსო, ალი (ნდომბელე 65), ბერგვეინი, მოურა

**ლაიფციგი**: გულაჩი, კლოსტერმანი, ამპადუ, ჰალშტენბერგი, მუკიელი, ზაბიტცერი, ლაიმერი (ფორსბერგი 83), ანხელინიო, ნკუნკუ (ჰაიდარა 74), ვერნერი, შიკი (პოულსენი 77)

ლაიფციგმა ტოტენჰემი დაამარცხა, ხოლო ნაგელსმანმა მოურინიოს აჯობა. შესაძლოა, ეს ყველაფერი იმის ბრალიც იყო, რომ ტოტენჰემს საკარდო პრობლემები აქვს – გუნდის 2 ლიდერი, ჰარი კეინი და ჰინ მინ სონი ტრავმირებულნი არიან, მაგრამ ბოლო დროს არც ლაიფციგი ბრწყინავს სტუმრად ჩატარებულ მატჩებში და ლონდონში ჩასვლამდე 4 მატჩი მხოლოდ 2 ფრე ჰქონდა.

თუმცა, მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ „დეზები“ შეშინებული გავიდნენ „ხარებთან“ სათამაშოდ. მოურინიოს გუნდი ნერვიულობდა და ცოტა ხნით მოედანზე სრულად ჩაიკარგა. ლაიფციგს დასაწყისი მაგარი გამოუვიდა, მაგრამ ტოტენჰემმა გაუძლო. შესვენების შემდეგაც ასე იყო, სანამ „დეზების“ კარში პენალტი არ დაინიშნა – ვერნერმა საკუთარი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ლაიფციგმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ხდება ხოლმე, როდესაც საშინაო მატჩებშიც აქვს ჩავარდნა, თუმცა, პირველი მატჩიდან გამომდინარე, „ხარებს“ პრობლემა არ უნდა შეექმნათ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ტიმო ვერნერი.

ბოლო დროს გერმანელი ფეხბურთელი კარგად არ გამოიყურება, მაგრამ ტოტენჰემთან მოინდომა. მართალია, დამასრულებელ ფაზაში ისევ აკლდა სისწრაფეც და სიზუსტეც, მაგრამ მონდომებამ შედეგი მაინც გამოიღო – ბუნდესლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა თავისი საქმე გააკეთა. მართალია, პენალტით, მაგრამ მაინც...

**ატალანტა-ვალენსია 4:1**

**მილანი. სან სირო**

**1:0 ჰატებური (16), 2:0 ილიჩიჩი (42), 3:0 ფროილერი (57), 4:0 ჰატებური (62), 4:1 ჩერიშევი (66)**

**ატალანტა**: გოლინი, ტოლოი, პალომინო, კალდარა (საპატა 75), ჰატებური, დე როონი, ფროილერი, გოსენსი, პაშალიჩი (ტამეზი 90), ილიჩიჩი, გომესი (მალინოვსკი 81)

**ვალენსია**: დომენეკი, ვასი, მანგალა, დიახაბი, გაია, ტორესი, პარეხო, კონდოგბია, სოლერი, გედეში (ჩერიშევი 64), გომესი (გამეირო 73)

ჩანს, რომ ამ წყვილის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. მატჩამდე იტალიელები ფავორიტები იყვნენ, ხოლო ვალენსიამ მათ ხელი შეუწყო. მართალია, ატალანტა უფრო მწვავედ გამოიყურებოდა, მაგრამ „ღამურებს“ საკუთარი შანსის ნახევარიც რომ გამოეყენებინათ, ინტრიგა დარჩებოდა.

ბერგამოელებმა პირველ ტაიმში 2 გოლი გაიტანეს, ხოლო ტორესმა და მანგალამ კარგი მომენტები გაანიავეს.

მე-2 ტაიმის დებიუტში უკვე სოლერმა გაუშვა ხელიდან გოლის გატანის შანსი, რის შედეგ ფროილერმა დასაჯა ვალენსიელები. ასევე მოიქცა ჰატებური, რომელმაც გომესს არ აპატია მომენტის გამოუყენებლობა. და მაინც, ვალენსიამ ერთი გაიტანა – ჩერიშევმა შეამცირა სხვაობა, მაგრამ ესპანური გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა არარეალური ჩანს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჰანს ჰატებური.

ბერგამოელთა მარჯვენა მცველმა დაიწყო ვალენსიელთა რბევა და დაასრულა კიდეც. მცველის დუბლი ფეხბურთში იშვიათია. პლუს, ჰატებურმა შესანიშნავად გაართვა თავი საკუთარ ამპლუაზე დამოკიდებულებას და გასაკვირი არ იქნება მისი საუკეთესოდ დასახელება.

# მილანი ახალ სეზონს ცვლილებებით შეხვდება

მილანი ახალი სეზონისთვის დიდ ცვლილებებს გეგმავს. ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა ეკიპი წერს, რომ „როსონერიმ“ 61 წლის გერმანელ სპეციალისტ რალფ რანგნიკთან წინასწარ შეთანხმებას მიაღწია.

2020-21 წლების სეზონიდან რანგნიკი მილანის მთავარი მწვრთნელი გახდება. ფრანგული მედიის თანახმად, გერმანელი სპეციალისტი არა მხოლოდ გუნდს გაუძღვება, არამედ ის გადაწყვეტს, თუ ვის შეიძენს კლუბი სატრანსფერო ბაზარზე.

ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ დაკავებულ თანამდებობებს დაემშვიდობებიან პაოლო მალდინი და ზვონიმირ ბობანი, რომლებიც თავიანთ მოვალეობას არც ისე დამაჯერებლად ასრულებდნენ.

რალფ რანგნიკი ბოლოს ლაიფციგს წვრთნიდა. აღსანიშნავია, რომ გამოცდილი გერმანელი სპეციალისტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ პირველად იმუშავებს.

მილანი ამჟამად სერია ა-ში 24 ტურის შემდეგ 35 ქულით მე-8 პოზიციაზე იმყოფება. როსონერის სადღეისოდ იტალიელი სტეფანო პიოლი წვრთნის, რომელიც სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს.

**მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა**

# ტყეში გზააბნეულმა სტუდენტმა გოგონამ ექვსი დღე გამოქვაბულში გაატარა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ტყეში იპოვეს გზააბნეული სტუდენტი გოგონა, რომელმაც ექვსი დღე გამოქვაბულში იცხოვრა.

26 წლის იან ჩენი 12 თებერვალს, ოთხშაბათ დილით დაიკარგა. მან და მისმა თანამგზავრმა ტალებუჯერის დაბლობში ჩანჩქერებამდე მიაღწიეს. მამაკაცი ორი ჩანჩქერის შეერთების ადგილას კლდეზე აცოცებას შეეცადა, ხოლო როდესაც უკან დაბრუნდა, გოგონა ადგილზე აღარ დახვდა.

დაკარგულ ჩენს პოლიციელები და მაშველები ეძებდნენ. სამძებრო ოპერაციაში ჩაერთვნენ მოხალისეები, მეტყევეები, სისხლის სამართლის პოლიცია და ტყის პატრული ველოსიპედებით. დაკარგული გოგონას კვალზე მაძებარი ძაღლები მიუშვეს, ჰაერში კი შვეულმფრენები და დრონები პარტულირებდნენ. 17 თებერვალს წყალსატევის ფსკერი მყვინთავებმა დაათვალიერეს.

დილით, დაახლოებით 11 საათზე, ჩენი იმ ადგილიდან 300 მეტრში შენიშნეს, სადაც ის ბოლოს ნახეს. წვიმისა და წყალდიდობისგან თავის დასაღწევად ის კლდეზე აცოცდა და ჩანჩქერების ძირიდან 30 მეტრის სიმაღლეზე გამოქვაბულს შეაფარა თავი.

გოგონა ღამეს გამოქვაბულში ათევდა და წყურვილს ნაკადულის წყლით იკლავდა. როდესაც ჩენი იპოვეს, მან სასწრაფო დახმარების მანქანამდე საკუთარი ფეხით მისვლა შეძლო, იქ კი ადგილობრივები ბუტერბროდებით გაუმასპინძლდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საბა ლობჟანიძე: „თურქეთის ჩემპიონატი დანიისას სჯობია“

ანკარაგიუჯუ თურქეთის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ გავარდნის ერთ-ერთი პირველი კანდიდატი იყო, თუმცა სატრანსფერო ბანის მოხსნის შემდეგ, ზამთარში გუნდმა 15 ახალი ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი საბა ლობჟანიძე და სატურნირო ცხრილში პროგრესი დაიწყო.

დედაქალაქელებმა ჩემპიონატის განახლების შემდეგ 2 მატჩი მოიგეს, ერთი კი ფრედ დაასრულეს. ქართველმა ახალწვეულმა ყველა მათგანში ითამაშა და ბოლოს ფენერბახჩესთან (2:1) გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედიც იყო. გარდა სტამბოლელთა კარში გატანილი გოლისა, 25 წლის ქართველმა თავი შეტევაში არაერთი მნიშვნელოვანი ქმედებითაც დაგვამახსოვრა და რამდენიმე გამოცემამ ის ტურის სიმბოლურშიც შეიყვანა.

თურქულმა მედიამ ლობჟანიძესთან ინტერვიუ ჩაწერა, სადაც ჩვენებურმა ახალი გუნდის შესახებ ისაუბრა.

**საბა ლობჟანიძე:**

– ფენერბახჩესთან მატჩში კარგად ვითამაშეთ და ტაქტიკურადაც მშვენივრად ვიმუშავეთ, მეტოქეს სივრცეები არ გავუხსენით, პირიქით, კონტრშეტევებზე მათი შეცდომებით ვისარგებლეთ. არ შემიძლია ვთქვა, რომ ფენერბახჩემ ცუდად ითამაშა, მაგრამ ჩვენ უკეთესები ვიყავით. ახალ გუნდში საწყის მატჩებში მიზანმა მიმტყუნა, რითაც იმედგაცრუებული ვიყავი, სადებიუტო გოლის გატანა კი ისეთი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც ფენერბახჩეა, ძალიან მახარებს.

ანკარაგიუჯიუში რომ მივედი, გავიგე, რომ გუნდს ერთბაშად 15 ფეხბურთელი დაუმატებია, რამაც ძალიან გამაკვირვა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ყველა მათგანი მაღალი ხარისხისაა. ამრიგად, ერთმანეთს ბევრი ახალი სახე შეხვდა, რომლებსაც გასახდელში ერთმანეთთან შეხვედრა სიამოვნებს. ჩვენი მიზანია, რომ გუნდმა ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

თურქეთის ჩემპიონატზე აქამდეც ბევრი მსმენია და ის რაც ყველაზე მეტად აღმაფრთოვანებს გასაოცარი გულშემატკივრობაა. სწორედ ამ ქომაგობის გამო გადავწყვიტე თურქეთში ჩამოსვლა, მინდოდა ამ შესანიშნავი ტრიბუნების წინ მეთამაშა და მოხარული ვარ, რომ აქაურმა გულშემატკივარმა ჩემი გოლი აღნიშნა.

გარდა ამისა, თურქეთის ჩემპიონატი დონით დანიის სუპერლიგაზე უფრო მაღლა დგას და ვფიქრობ აქ გადმოსვლა წინ გადადგმული ნაბიჯია. წამოსვლამდე ლევან შენგელიას ვესაუბრე, რომელიც ქონიასპორში თამაშობს და მისგან სუპერლიგაზე ბევრი რამ მოვისმინე. ასევე, გაოცებული ვარ ამ დიდებული ქალაქის სილამაზით – ანკარამ მომხიბლა.

# ჯჩოსვოჩდი ბ



**შვეულად**: 1. ესპანეთში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 2. ოპერა „ფალსტაფის“ მუსიკის ავტორი; 3. ბიბლიის ათი მცნება; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. შავი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 12. სხვადასხვა ქანისა და მინერალის ფხვიერი შენაერთი; 14. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 15. ქონება, რომელსაც ატანენ საპატარძლოს მშობლები გათხოვებისას; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. მუზეუმი მადრიდში.

**თარაზულად**: 5. ქართული ლუდი; 6. ქართველი მოდელიერი ქალი; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ქიმიური ელემენტი, აირი; 11. აზერბაიჯანული მაწონი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. გულში ნადები სევდა, ნაღველი; 19. ოსური ცეკვა; 21. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 22. ძველი ბერძენი დრამატურგი, ტრაგედია „მედეას“ ავტორი; 23. საზეიმო წვეულება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 2. ოპერეტა; 3. კლოუნადა; 4. აეროსტატი; 5. ბრიჯი; 6. ირბისი; 8. აგენტი; 11. კალიუმი; 14. აბასთუმანი; 15. მისტრალი; 16. სტრაბიზმი; 17. ვადუცი; 19. არტერია; 21. კალია; 22. პირსი.

**თარაზულად:** 1. ჟოეკვარა; 5. ბონი; 7. სპაზმი; 9. რეკონვერსია; 10. ბუკლეტი; 12. ქსილიტი; 13. ატამანი; 16. სამორინე; 17. ვაცი; 18. იალტა; 20. მათუსალა; 22. პრადო; 23. პეტიცია; 24. ზვირთი; 25. იუანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. ვირუსი; 7. ბემბი; 9. გოთუა; 12. ენტომოლოგია; 14. სოპოტი; 15. კრაზანა; 17. ფრაქცია; 20. შონია.

**თარაზულად:** 5. საქარინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. ჰიტროუ; 13. ფრიმანი; 16. ბარაკონი; 18. გრემი; 19. ხალთა; 21. პორტიე; 22. ენოლოგია; 23. ბერინგი.


# სამგლოვიარო განცხადებები

ბორის კაკუბავა სამძიმარს უცხადებს ალიოშკა კაკუბავას დედის

**ჭანია გოლოვასტიკოვა-კაკუბავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8265

ევრო — 3.0515

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6405

100 რუსული რუბლი — 4.6678

## ამინდის პროგნოზი 21 თებერვლისთვის



18 თებერვლიდან

მიხეილ კვესელავა

## ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ბარსელონამ ლეგანესის ფორვარდი იყიდა

ბარსელონამ ლეგანესის 28 წლის დანიელი ფორვარდი მარტინ ბრეითუეტი იყიდა. ბრეითუეტი ლეგანესის ლიდერი იყო, თუმცა ბარსელონას, სავარაუდოდ, შეეძლო, უფრო ცნობილი ფეხბურთელი ეყიდა, თუმცა, როგორც ჩანს, მათ მცირე დროის გამო ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა თანხა გადაიხადეს კატალონიელებმა ლეგანესის ფორვარდში და ბრეითუეიტმა, შესაძლოა, უკვე ეიბართან შეძლოს თამაში.

ბარსელონამ ახალი ფორვარდის ყიდვა ლუის სუარესის ტრავმის შემდეგ გადაწყვიტა, რომელიც აპრილამდე გუნდს ვერ დაეხმარება.

## გვარდიოლა: „თუ არ გამაგდეს, სიტიდან არ წავალ“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ თუ ის არ გააგდეს, თავისი სურვილით მანჩესტერ სიტიდან არ წავა.

გვარდიოლაზე არც სიტის ორწლიანი დისკვალიფიკაცია იმოქმედებს:

– მე მომწონს აქ მუშაობა და არსად წასვლას არ ვაპირებ, თუ სიტის ხელმძღვანელობა არ გამათავისუფლებს. მინდა, გუნდში რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე და წარმატებებს მივაღწიო.

## მესი: „ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება უნდა“

ბარსელონის კაპიტანმა ლიონელ მესიმ ბრაზილიელ ფორვარდ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ნეიმარის დაბრუნება მას ძალიან გაუხარდება. გარდა ამისა, მესი დარწმუნებულია, რომ თვითონ ნეიმარსაც სურს ბარსელონაში დაბრუნება და, შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს:

– ნეიმარი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და მისი დაბრუნების შემთხვევაში ბარსელონა აუცილებლად გაძლიერდება. დარწმუნებული ვარ, მასაც სურს ისევ ჩვენთან თამაში და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს.

## ასტროპროგნოზი

### 21 თებერვლისთვის

**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **შუბლდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **ვერცხლი** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისუსტებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მოხუცმა მებადურმა ბადე ამოსწია და ოქროს თევზი ამოიყვანა. ოქროს თევზმა მოხუცს შეხედა და ეკითხება:

– შენი ცოლი ისევ ცოცხალია?

– კი, ცოცხალია.

– მაშინ, შემწვი.

●●●

პატარა სეროჟა მაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:

– ეს ქილა თაფლით გამივსეთ.

გამყიდველმა ქილაში თაფლი ჩაუსხა. სეროჟა ეუბნება:

– მამა ხვალ მოვა და ფულს გადაგიხდით.

– არა, მასე არ გამოვა, – უპასუხა გამყიდველმა, ქილა უკანვე გამოართვა და თაფლი ისევ ბიდონში ჩაასხა.

მაღაზიიდან გამოსულმა სეროჟამ ქილაში ჩაიხედა და ჩაილაპარაკა:

– მამა მართალი იყო, ეს თაფლი ორ ბუტერბროდს ეყოფა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ადრე ჩემი ცოლი ტვინს მიჭამდა ჭკუის დარიგებით...

– მერე?

– მერე, ნოუთბუქი ვუყიდე და ახლა სხვებს ასწავლის ჭკუას!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– კორონავირუსი, ფაქტობრივად, ჩვენს მოსახლეობას არ ეხება და ნეტავ რატომ?

– ჩვენი ექიმებისა და პოლიკლინიკებში რიგების ეშინია...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ის რა ხმა იყო სამზარეულოში?

– ახლა გონება გამინათდა და მომავლის ხილვა მქონდა!

– და რა მოხდება მომავალში?

– ახალ საშაქრეს ვიყიდით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი შენგელაია დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

82 წლის ასაკში გარდაცვლილი კინორეჟისორი გიორგი შენგელაია დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

მასთან გამომშვიდობების საშუალება საზოგადოებას ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლ-მუზეუმში მიეცა.

ხელოვანი უკანასკნელ გზაზე გააცილეს კოლეგებმა, მეგობრებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა და რიგითმა მაყურებლებმა.

**მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი:**

– უდიდეს და უბრწყინვალეს რეჟისორს ვემშვიდობებით. იმდენი რამ არის გიორგი შენგელაიასთან დაკავშირებული, რაც ქართული კინოს 60-იანი წლების უმნიშვნელოვანეს ეპოქას ეძღვნება, რომ უსასრულოდ შეიძლება ამაზე ლაპარაკი. თავის პირველ ფილმ „ალავერდობაში“ ტაძრის გუმბათიდან დაუძახა საქართველოს და გაღვიძებისკენ მოუწოდა.

**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

– მშვიდობით, გიორგი. დიდი რეჟისორი წავიდა. როგორ მატკინა გული. ხელოვანი, რომელმაც უდიდესი ძეგლი დაუდგა ფიროსმანს. ნათელში იყავი, ძვირფასო!

**რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი:**

– რომ ვთქვა, დამთავრდა დიდი ეპოქა-მეთქი, ძალიან მარტივი და ბანალური ნათქვამია. არ მოეწონებოდა. მაშინ ვიტყვი, რომ ჯერ ვერც კი ვიაზრებთ, რამხელა სამყარო დამთავრდა და დაგვაკლდა ყველას!

რასაც პირადად მე ვგრძნობ, ამას ტკივილი და სინანული არ ჰქვია. ჩემი ცხოვრების ნათელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჩამომშორდა. სულ სხვა, განსხვავებული, განსაკუთრებული, რთული და უბრალო ურთიერთობები. უდიდესი სიყვარული და ზრუნვა. ბოლოს, ათი დღის წინ ველაპარაკე. უამრავი გეგმა ჰქონდა გაზაფხულისთვის, მთავარია, ამ ზამთარმა გაიაროსო.

ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი ჩემს უსაყვარლეს მასწავლებელზე, უახლოეს მეგობარზე, ნამდვილ გენიოსზე, რომელსაც ჩვენ ჯერ ბოლომდე არ ვიცნობთ.

**თინა მახარაძე, მსახიობი:**

– საქართველოდან წამოსვლამდე, ალბათ, 2-3 წლით ადრე, მე და გიორგი შენგელაია დავმეგობრდით. ორი სქელტანიანი სცენარი ჰქონდა დაწერილი, ორივეში მთავარი როლი ჩემთვის. დამირეკავდა ხოლმე, „თინიკო, გიორგი ვარ შენგელაია“ მეტყოდა და დავთქვამდით შეხვედრის დროს.

მივდიოდი მასთან სტუმრად და ვლაპარაკობდით გაუჩერებლად. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს არაფერში ვეთანხმებოდით ერთმანეთს, არ გვიჩხუბია. „არ გეთანხმებით“, – ვეტყოდი წყნარად. „არ მეთანხმები და ნუ მეთანხმები,“ – მეტყოდა.

და ვიყავით კარგი მეგობრები და მეც ძალიან მომწონდა და მასაც ძალიან მოვწონდი.

ზაფხულის ის რამდენიმე საღამო დიღომში, გიორგი შენგელაია რომ ფარაჯანოვზე მიყვებოდა ამბებს, სამზარეულოში მომვლელი ქალები კისკისებდნენ და ჩვენ მსხალს ვჭამდით, ყველაზე ტკბილი სახსოვარია.

## მაკა ზამბახიძემ და მიხეილ ჩოხელმა ჯვარი დაიწერეს



მომღერალმა მაკა ზამბახიძემ და მისმა მეუღლემ მიხეილ ჩოხელმა ჯვარი დაიწერეს.

წყვილის ჯვრისწერა ნარიყალაზე გაიმართა, სადაც მათი უახლოესი მეგობრები იყვნენ მიწვეული.

მაკასთვის ეს მესამე ქორწინებაა. მას პირველი ქორწინებიდან გოგონა, სალომე ჰყავს, მეორე ქორწინებაში კი ვახო ჭუმბურიძესთან იმყოფებოდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## როჯერ ფედერერი ივლისამდე ვერ ითამაშებს

შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი, სავარაუდოდ, ივლისისამდე ვერ შეძლებს თამაშს, ამის მიზეზი კი მუხლის ტრავმაა, რის გამოც ფედერერმა ოპერაციაც გაიკეთა. მუხლის ოპერაციის შემდეგ რამდენიმე სარეაბილიტაციო კურსია საჭირო, ამიტომ ფედერერი ვარჯიშს, სავარაუდოდ, ივნისში დაიწყებს, კორტზე კი უიმბლდონის ტურნირზე გავა, რომელიც ივლისში ტარდება.

ფედერერი 38 წლის არის, მაგრამ კარიერის დასრულებას არ აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ჯოსვოხდი ১



**შვეულად**: 2. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 3. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 6. უძველესი აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი, ვიწრო ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 15. გორგოლაჭიანი ტრანსპორტიორი; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 1. ცოცხლად შობილი თევზი; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 7. უკრაინული ხალხური ცეკვა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. უღელტეხილის ქართული სახელწოდება; 25. ბოსტნეული მცენარე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*